პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 274 (19715) შაბათი, 29 ნოემბერი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ეკონომიკის სოციალური რეზერვები

ახოგადოების მთავარი საწარმოო ძალა ადამიანია. თუ დავაკვირდებით ჩვენი ინდუსტრიის ფლაგმანების, ცნობილი საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, სამეცნიერო კოლექტივების შუშაობის პრაქტიკას, ყოველთვის აღმოვაჩენთ: მათ წარმატებებს საფუძვლად უდევს მუდმივი ზრუნვა ადამიანებისათვის, მეურნეობრიობის სოციალური რეზერვების უნარიანი გამოყენება. ეს არის შრომის მატერიალური და მორალური სტიმულირების მოფიქრებული სისტემაც, საცხოვრებელი სახლების შენებლობაც, გამაჯანსაღებელი და სპორტული კომპლექსების, სპავშვო დაწესებულებების აგებაც და კვალიფიკაციის ამაღლების, შემოქმედებითი ზრდისათვის ხელშეწყობი პირობების შექმნაც.

კკკ XXVII ყრილობამ მოითხოვა დაგეგმვისა და მართვის ორგანოები, ცენტრალური და ადგილობრივი სამეურნეო ორგანიზაციები მტკიცედ შემობრუნდნენ სოციალური სფეროს მოთხოვნილებებისაკენ. მისი მნიშვნელობის, კერძოდ, ეკონომიკური ზრდისთვის მნიშვნელობის ახალი შეფასება აისახა 1987 წლის სახელმწიფო გეგმასა და ბიუჯეტში. მაგალითად, გეგმაში პირველად სრული მოცულობით შემუშავებულია კომპლექსური სოციალური განყოფილება. მთლიანად სოციალური პროგრამის რეალიზაციის დანახარჯები შეადგენს 880 მილიარდ მანეთს, რაც 1986 წლის გეგმაზე 20 მილიარდი მანეთით მეტია. ახლა მთავარია მთლიანად ავითვისოთ ეს სახსრები, შევასრულოთ სოციალური სფეროს განვითარების დავალებანი.

ახლახან კკკ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა სოციალურ-კულტურული შენებლობის 1986 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულების მიმდინარეობის საკითხი. აღინიშნა, რომ სამინისტროები და უწყებები, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოები, ყრილობის მითითებათა გათვალისწინებით, უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ სოციალური სფეროს განვითარებას. ამავე დროს საჭირო გარდაქმნა ყველგან როდია უზრუნველყოფილი. სპბინაო შენებლობის პროგრამა, მაგალითად, ვერ შეასრულეს სსრ კავშირის სახაგრომრეწვამ, სომხეთის, საქართველოს, უზბეკეთის, მოლდავეთის მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, რუსეთის სფსრ ბევრმა ოლქმა, მხარემ და ავტონომიურმა რესპუბლიკამ. განვლილი პერიოდის მანძილზე არ ამოქმედებულა ჯანმრთელობის დაცვის არც ერთი ობიექტი ივანოვოს, გორკის, ორიოლის, რიაზანის ოლქებში. ცნობილია, თუ რა სასტიკად ილაშქრებდა ამგვარი „ეკონომიის“ წინააღმდეგ ვ. ი. ლენინი. რამდენიმე ასეული მილიონის დაზოგვით, წერდა იგი, შეიძლება დავკარგოთ იმდენი, რომ დაკარგულს ვერავითარი მილიარდები ვეღარ ანაზღაურებს.

საიდუმლო არ არის, რომ სოციალისტური წარმოების ძირითადი მიზანი ზოგიერთი სამეურნეო მუშაკისათვის უფრო მხოლოდ ლოზუნგია. ისინი მას სიტყვით იწონებენ, მაგრამ ყოველდღიური საქმიანობის პრინციპად არ გაუხდიათ. ამის მიზეზია, რომ ბოლომდე არ არის აღმოფხვრილი, რადაც უნდა დაუჯდეთ გეგმების შესრულების პრაქტიკა, ადამიანთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების უგულებელყოფა. სპბოლოო ანგარიშით, ყოველივე ეს მეტად ნეგატიურ გავლენას ახდენს საწარმოო მიჩვენებლებზე, მშრომელებს უკარგავს ხალისს იმუშაონ დამკვრელურად, დინტერესებით. პრინციპული პარტიული შეფასების გარეშე არ უნდა დავტოვოთ წარმოების სოციალური მხარის, ყოფა-ცხოვრების, დასვენებისადმი უყურადღებობის არც ერთი ფაქტი.

აქ ბევრი რამ არის დამოკიდებული ხახალხო დეპუტატთა საბჭოებზე. მათ დიდი უფლებები აქვთ მინიჭებული. მაგრამ ყველგან როდი იჩენენ ისინი სათანადო სიბეჯითეს და სიმტკიცეს მათ რეალიზაციაში. მაგალითად, ხაბაროვსკის მხარის ქალაქ სოვეტსკაია გავანში“ დასასრულს უახლოდება სამკერვალო ფაბრიკის შენებლობა. თუმცა ჯერ კიდევ არ ჩამდგარა იგი მოქმედთა რიცხვში, მაგრამ უკვე წარმოშობს მთელ რიგ სოციალურ პრობლემებს. მომავალი კოლექტივისათვის გათვალისწინებული არ არის არც ერთი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, რაიმე საყოფაცხოვრებო ობიექტი. საქალაქო საბჭოს აღმასკომში პირდაპირ აცხადებენ: ფაბრიკა შეუფერებელ ადგილზე შენდება, უკეთესი იქნება, თუ მას საყოფაცხოვრებო მომსახურების, შენობად გამოვიყენებთო. საკითხავია: როგორღა დაგეგმეს ქალაქის სოციალურ-კულტურული განვითარება, რატომ არ მოითხოვეს ის, რაც საჭირო იყო და დაეთანხმნენ იმას, რაც ქალაქის პერსპექტივას არ შეეფარდება? ეს ხომ მთლიანად შედის ადგილობრივი საბჭოების კომპეტენციაში.

ახლა თითოეული რეგიონისათვის, რესპუბლიკისათვის გამოყოფილია გარკვეული მოცულობის კაპიტალური დაბანდებანი. ნაკლები დანახარჯებით ხუთწლიანი გეგმის უზრუნველყოფა — ნიშნავს მეტი სახსრები მოვახმაროთ სოციალური სფეროს განვითარებას. ჩელიაბინსკელებმა, მაგალითად, გამოიანგარიშეს, რომ საწარმოო შენებლობის დაახლოებით 10 პროცენტი შეიძლება მოახმარონ ბინების, ბავშვთა დაწესებულებების, სხვა ობიექტების შენებლობას, და, ამას ხელი სერიოზულად მოჰკიდეს. ასე ერთიანდება ეკონომიკური და სოციალური ამოცანების გადაწყვეტა, წარსულს ბარდება პრაქტიკა, როცა ყოველგვარ ცდას — ადგილობრივი საბჭოებისათვის გამოეყენებინათ დაზოგილი სახსრები, მიიჩნევდნენ კუთხურობის გამოვლინებად.

დროის მოთხოვნა ის არის, რომ მოვაახლოოთ სასურსათო პროგრამის შესრულება, ბაზარი უნდად მოვამარაგოთ მოსახლეობისათვის საჭირო საქონლით, საბჭოთა ადამიანისათვის უზრუნველყოთ მომსახურების მაღალი დონე. სწორედ ამას ისახავს მიზნად სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციების შუშაობის სრულყოფის ღონისძიებანი, აგრეთვე კანონი ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ.

მნიშვნელოვნად იზრდება სოციალური მიზნებისათვის გათვალისწინებული ხარჯები საწარმოო სახსრების გამოყენებით. მარტო გაიხად მატერიალური წახალისების, სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და სპბინაო შენებლობის ფონდები გაიზრდება 12,7 პროცენტით და 25 მილიარდ მანეთს გადააჭარბებს. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა ეფექტიანად გამოვიყენოთ ისინი ადამიანთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესების, პატიოსანი და კეთილსინდისიერი შრომის სტიმულირების, სოციალური სამართლიანობის პრინციპის თანამიმდევრული დამკვიდრებისათვის. ამას ხელს შეუწყობს საწარმოთა და გაერთიანებათა გადასვლა სრულ სამეურნეო ანგარიშზე.

უფრო სრულად ავამოქმედოთ ეკონომიკის სოციალური რეზერვები — ნიშნავს გადაჭრით წარვმართოთ სამეურნეო ანგარიში „ქვემოთკენ“: საამქროებში, ბრიგადებში, მოვიცვათ ამით თითოეული მუშა, სპეციალისტი და ხელმძღვანელი. ჩვენ არ შეგვიძლია „ეფექტიანობა“ გავუწოოთ სოციალიზმს, რომლის პირობებში, თითქოსდა, სულ ერთია მაინც ვერ მიაღწევენ „გასაჯირში“ კოლექტივს, რაგინდ ცუდად მუშაობდეს. ამიერიდან ხელფასის მომატება მოხდება პრინციპულად სხვა საფუძველზე: იგი უშუალოდ იქნება დამოკიდებული შრომითი კოლექტივების სამეურნეო საქმიანობის გაუმჯობესებაზე. ამასთან უაღრესად საჭიროა, რათა თითოეული მუშაკის შრომის ოდენობის განსაზღვრაში აქტიურად მონაწილეობდნენ თვითონ მშრომელები.

დღეს სოციალური ფაქტორების გაუთვალისწინებლად წარმატებით ვერ გადაწყვეტთ ვერც ერთ ეკონომიკურ ამოცანას. ავიღოთ, მაგალითად, ხაწარმოოთ და ორგანიზაციათა გადაყვანა მუშაობის ორ-სამცვლიან რეჟიმზე. ეფექტიანი შრომის საჭირო პირობების შესაქმნელად უნდა გარდავქმნათ ტრანსპორტის, სახწავლებლების, სპბავშვო ბაღების, მთელი სოციალური სფეროს მუშაობის რეჟიმი. ამგვარი გარდაქმნის მაგალითს გვიჩვენებენ ლენინგრადელები. პარტიულმა კომიტეტებმა, ადგილობრივმა საბჭოებმა, პროფკავშირებმა, კომკავშირმა უფრო აქტიურად უნდა გაავრცელონ ეს გამოცდილება, ბეჯითად ეძებონ საკუთარი მიდგომა.

კკკ XXVII ყრილობის მიერ მოწონებული საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში ღრმა გარდაქმნების სტრატეგიული კურსის შესრულება გულისხმობს აქტიური სოციალური პოლიტიკის განხორციელებას. წარმატებანი სოციალურ სფეროში არა მარტო ჩვენი ეკონომიკური მიღწევების შედეგია, არამედ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის გადიდების, 1987 წლისა და მთლიანად ხუთწლედის დავალებების შესრულების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაც არის.

„PRAVDA“
27 ნოემბრის მოწონებით

შრომითი ქრონიკა

ხუთწლედის ორი წლის გეგმა — ოქტომბრის 70 წლისთავისათვის

ხარისხისნიშნიანი პროდუქცია

წარმატებით / სამთავრებს სამეურნეო წელს თბილისის პატონის სახელობის ელექტროშესაღუღი მოწყობილობის ქარხნის კოლექტივი. მიღწევები კოლექტივის შემართებული შრომის გარდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაზე ზრუნვის შედეგია. აქ წლის დამდეგიდან გეგმის გადამეტებით 220 ათასი მანეთის პროდუქცია დამზადდა. სახელმწიფო ხარისხისნიშნიანმა პროდუქციის ხვედრითმა წილმა წარმოების მთლიან მოცულობაში 70 პროცენტი შეადგინა.



სურათზე: საკაპარატო საამქროს ამწყობ-ზეინკალთა ბრიგადის ხელმძღვანელი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვიტალი მარტუჩენკო. მისმა ბრიგადამ ახალი პროდუქციის — პლაზმური ჭრის დანადგარების გამოშვება აითვისა.

ს. კილაძის ფოტო.

ეკონომიკა

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲘᲙᲔᲗᲝᲓ

დელი. 27 ნოემბერი. (**საკადესის სპეც. კორ.**). დღეს დილით სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა თავის რეზიდენციაში მიიღო ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ნარაიან დატ ტივარი, ინდოეთის ფინანსთა მინისტრი ვიშვანათხ პრატაპ სინგჰი და ინდოეთის ელჩი სსრ კავშირში ტრილოკი ნათჰ კაული.

გაიმართა ხანმოკლე საუბარი მ. ს. გორბაჩოვისა და ინდოეთის პრემიერ-მინისტრის რაჯივ განდის უმაღლესი დონის შეხვედრებიდან გამომდინარე იმ პრაქტიკული დასკვნების შესახებ, რომლებიც ეხება საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ურთიერთობის შემდგომ განვითარებას, უმთავრესად — ეკონომიკისა და სამეცნიერო-ტექნიკური კავშირურთიერთობის სფეროში.

საუბარში მონაწილეობდნენ ე. ა. შევარდნაძე და ა. თ. დობრინინი.

დღეს რუსულ ენაზე შესრულებული საბჭოთა სიმღერით მიესალმნენ მ. ს. გორბაჩოვს რუსული ენის ინსტიტუტის სტუდენტები საბჭოთა მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების სახლში. აქ გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის შეხვედრა ინდოეთ-საბჭოთა კავშირის კულტურული საზოგადოებისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების აქტივთან.

საბჭოთა სტუმრებს შეხვდნენ ინდოეთის ცხოვრი ჩანაფაგადო მოღვაწე, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატი არუნა ასაფ ალი, აგრეთვე მეგობრობის ორივე საზოგადოების ხელმძღვანელები. მ. ს. გორბაჩოვი გაეცნო ფოტოექსპოზიციას „სსრ კავშირი-ინდოეთი: მეგობრობა და თანამშრომლობა“. გაიმართა საუბარი ინდოეთ-საბჭოთა კავშირის კულტურული საზოგადოებისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ხელმძღვანელობასთან. მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა მეგობრობის საზოგადოებათა განყოფილებების მეთაურებს, რომლებიც ინდოეთის ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ დელში.

მმბართა რა მ. ს. გორბაჩოვს, საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების თავმჯდომარემ ბალი რამ ბჰაგატმა თქვა, რომ მისს ვიზიტი დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტია ორი ქვეყნის ურთიერთობის განვითარებაში. ინდოეთი და საბჭოთა კავშირი დიდი ხნის მეგობრები არიან. მათი მეგობრობა ემყარება ურთიერთგაგებას, თანასწორუფლებიანობას. ჩვენი ქვეყანა, აღნიშნა ორატორმა, ყოველმხრივ უჭერს მხარს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის სამშვიდობო წინადადებებს. ჩვენ განსაკუთრებით დავაფასეთ საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის რეიკიავიკის შეხვედრა. გამოთქმული თქვენი გაბედული ინიციატივები. და ვეთანხმებით თქვენს აზრს, ამხანაგო გენერალურო მდივანო, რომ მსოფლიოს ხალხებს შეეძლიათ თქვან და კიდეც უნდა თქვან გადამწყვეტი სიტყვა იმათ წინააღმდეგ, ვინც მსოფლიოს ბირთვული ომის უფსკრულისაკენ უბიძგებს. თქვენი გამოსვლები ჩვენს რთულ ბირთვულ საუკუნეში ახლებური აზროვნების, ახალი ფილოსოფიის ნიმუშია. ინდოეთი ხალხი დიდად აფასებს საბჭოთა კავშირის მიდგომას თანაშედროვეობის აქტუალური პრობლემების გადაჭრისადმი, სკკპ XXVII ყრილობის დიდად კეთილშობილურ მიზნებს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხთა გადაწყვეტაში, რომლებმაც ახალი თვისებრივი განზომილება მიანიჭეს საბჭოთა ხალხის ცხოვრებას. დიდად ვიფასებთ აგრეთვე იმას, რომ საბჭოთა კავშირი ძნელებდობის ჟამს მუდამ ინდოეთის მხარეზე იყო. ეს დამაჯერებლად ვლინდება ახლაც, როცა გარეშე ძალები კვლავ შეთქმულებთა ქსელს ბამენ ინდოეთის წინააღმდეგ, ემუქრებიან მის ეროვნულ ერთიანობასა და ტერიტორიულ მთლიანობას, ხაზგასმით აღნიშნა ბ. რ. ბჰაგატმა.

ვ. რ. კრიშნა აიერმა, ინდოეთ-საბჭოთა კავშირის კულტურული საზოგადოების საპრეზიდენტო საბჭოს წევრმა, ინდოეთში საბჭოთა კავშირთან მეგობრობისათვის მოძრაობის ერთ-ერთმა უძველესმა მონაწილემ, თქვა, რომ ინდოეთის საზოგადოების სულ სხვადასხვა ფენა დიდად აფასებს საბჭოთა კავშირთან მეგობრობას, როგორც ამხანაგობის უმაღლეს გამოვლინებას. ორი ქვეყნის ხალხების კავშირურთიერთობა, საუკუნეთა სიღრმეში რომ იღებს დასაბამს, დამკვიდრებულია მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის ისტორიული ხელშეკრულებით, რომელმაც დროის გამოცდას გაუძლო. და დღეს პრაქტიკული საქმეებით დასტურდება.

საბჭოთა ხელმძღვანელს მიესალმნენ აგრეთვე გენერალური მდივნები: საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებისა — კ. რ. განეშა, ინდოეთ-საბჭოთა კავშირის კულტურული საზოგადოებისა — ლიტო გჰოში.

* * *

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა დღეს საღამოს საბჭოთა საელჩოში სადილი გაუმართა ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს რაჯივ განდის.

რ. განდისთან ერთად სადილად იყვნენ საგარეო საქმეთა მინისტრი ნ. დ. ტივარი, ინდოეთის მთავრობის სხვა წევრები, პარლამენტარები, თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწენი, საქმიანი, სამეცნიერო და კულტურული წრეების, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

სადილად იყვნენ ე. ა. შევარდნაძე, ა. თ. დობრინინი, მოგზაურობის დროს გენერალური მდივნის თანმხლები სხვა ოფიციალური პირნი.

სადილზე სიტყვები წარმოთქვეს მ. ს. გორბაჩოვმა და რ. განდიმ.

ვ. ბაიდაშინი,
ა. ბელიკოვი,
გ. შიშკინი.

სოციალისტური შეჯიბრების დროშით

ᲘᲜᲢᲔᲜᲡᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘᲗ

ქალაქ ქუთაისის მშრომელთა სოციალისტური ვალდებულებები 1987 წლისა და მეთორმეტე ხუთწლედისათვის

ახორციელებენ რა სკკპ XXVII ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 120 წლისთავის ღირსშესანიშნავი თარიღების ღირსეულად შესახვედრად ქალაქ ქუთაისის მშრომელები, რომლებმაც დარეგისტრირდნენ სოციალისტური შეჯიბრება 1987 წელს და მთლიანად მეთორმეტე ხუთწლედში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის, კისრულობენ ვალდებულებებს, რომ

უწამორჩენილებოდ მუშაობის ორგანიზაციის მეშვეობით სახალხო მეურნეობის ყველა დარგში უზრუნველყოფენ ყველა ბრიგადის, ცვლის, საამქროს, საწარმოსა და ორგანიზაციის მიერ 1987 წლისა და მთლიანად მეთორმეტე ხუთწლედის დავალებათა შესრულებას.

5 პროცენტით შეამცირებენ მოქმედ საწარმოებში მომუშავეთა რიცხვს. გამოთავისუფლებულ შრომითს რესურსებს დასაქმებენ სოციალური სფეროს შემდგომ განვითარებაში.

მიმდინარე ხუთწლედში დაჩქარებენ ზრდის ტემპს მეთერთმეტე ხუთწლედთან შედარებით 28 პროცენტით, გეგმით გათვალისწინებული 26 პროცენტის ნაცვლად, ხოლო 1987 წელს, მიმდინარე წელთან შედარებით — 4,2 პროცენტით, გეგმით გათვალისწინებული 3,8 პროცენტის ნაცვლად.

გეგმის გადაჭარბებით გამოუშვებენ 30 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქციას, მათ შორის 1987 წელს — 5 მილიონი მანეთისას.

უზრუნველყოფენ 1987 წელს პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულებას მიწოდების ვალდებულების გათვალისწინებით სულ ცოტა 99 პროცენტით, ხოლო 1988 წლიდან — 100 პროცენტით.

მიაღწევენ შრომის ნაყოფიერების ზრდას მთლიანად ხუთწლედის განმავლობაში 124 პროცენტით, გეგმით გათვალისწინებული 120,3 პროცენტის ნაცვლად, ხოლო 1987 წლისათვის — 104,2 პროცენტით, 103,9 პროცენტის ნაცვლად.

უმაღლესი კატეგორიის ხარისხის ნაწარმის წილს ხუთწლედში გაზრდიან 70 პროცენტამდე; საატესტაციო პროდუქციის მთელ მოცულობაში, მათ შორის 1987 წელს — 63,6 პროცენტამდე. თანამიმდევრულად გადაიყვანენ საწარმოებს სახელმწიფო მიღების პირობებით მუშაობაზე.

ყოველწლიურად განაახლებენ მრეწველობაში მოწყობილობის 12-15 პროცენტს. მეთერთმეტე ხუთწლედთან შედარებით 1,5-ჯერ დააჩქარებენ წარმოების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ტემპს ახალი ტექნოლოგიის, რობოტტექნიკური და ავტომატიზებული სისტემების უპირატესი დანერგვის მეშვეობით. 25 პროცენტით შეამცირებენ ხელის შრომის ხვედრით წილს, მათ შორის 1987 წელს — 5 პროცენტით.

უზრუნველყოფენ მოქმედ საწარმოო სიმძლავრეთა შედარებით სრულ დატვირთვას, დიდმწარმოებლური დანადგარების გადაყვანას ორ-და სამცვლიან რეჟიმზე. ამის მეშვეობით გაადიდებენ მათი ცვლიანობის კოეფიციენტს 1987 წელს 1,7-მდე, ხოლო ხუთწლედის დამლევისათვის — 1,8-მდე, ხუთწლედის განმავლობაში ექსპლოატაციიდან გამორიცხავენ 4700 მორალურად და ფიზიკურად მოძველებულ ჩარხსა და დანადგარს.

სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებას გაზრდიან ხელფასის ფონდის 1 მანეთზე 2,65 მანეთამდე 1987 წელს, და 2,8 მანეთამდე — ხუთწლედის დამლევისათვის. მნიშვნელოვნად გაამრავალფეროვნებენ იმ ნაწარმის გამოშვებას, რომელზეც გადიდებული მოთხოვნილებაა.

უზრუნველყოფენ ხუთწლედში წარმოების მოცულობის გადიდებას 65-70 პროცენტით ნედლეულის, მასალებისა და თბოენერგეტიკული რესურსების მომჭირნეობის ხარჯზე. 1987 წელს გეგმის გადაჭარბებით დაზოგავენ ლითონს — 1,2 ათას ტონას, ცემენტს — 0,6 ათას ტონას, ხე-ტყეს — 0,8 ათას კუბურ მეტრს, საწვავ-საპონ მასალას — 0,8 ათას ტონას, ელექტროენერგიას — 4 მილიონ კილოვატსაათს.

აამაღლებენ ხუთწლედის განმავლობაში მომუშავეთა საერთო რიცხვის სულ ცოტა 60 პროცენტის პროფესიულ კვალიფიკაციას. 1,5-ჯერ გაზრდიან პერსპექტიულ პროფესიათა მუშების კადრების მომზადებას.

გადაზიდავენ ხუთწლედის განმავლობაში გეგმის გადაჭარბებით 250 ათას ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთს და გადაიყვანენ 1,2 მილიონ მგზავრს. ტვირთბრუნვის, ტვირთზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის 1987 წლის გეგმას შეასრულებენ 29 დეკემბრისათვის. ქალაქში მთლიანად დანერგავენ სამგზავრო ტრანსპორტის ავტომატიზებულ სადისპეტჩერო სისტემას. 90 პროცენტამდე გაზრდიან ცენტრალიზებული ტვირთზიდვის ხვედრით წილს.

ტვირთბრუნვის ოპერაციების, დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა მექანიზაციისა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების მეშვეობით აღმოფხვრიან ვაგონების მოცდენის შემთხვევებს. 1987 წელს გეგმის გადაჭარბებით შეაკეთებენ 32 ლოკომოტივს.

უზრუნველყოფენ ქალაქის სატელეფონო ქსელის შემდგომ განვითარებას ხუთწლედში ოთხი ავტომატური სატელეფონო სადგურის საექსპლოატაციოდ გადაცემით.

1987 წელს გაადიდებენ ტელეფონის აბონენტთა რიცხვს 5 ათასი ერთეულით. გაზრდიან ქალაქის სამშენებლო ორგანიზაციების სიმძლავრეს 20 პროცენტით, უზრუნველყოფენ ხუთწლედში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობის გადიდებას შრომის ნაყოფიერების 10 პროცენტით გაზრდის ხარჯზე. 1988 წელს დაუმთავრებელ მშენებლობათა მოცულობას დაიყვანენ ნორმატიულ დონემდე. მშენებლობის ტექნოლოგიური რეჟიმის სრულყოფისა და მუშების კვალიფიკაციის თანადგომილი ამაღლების გზით ობიექტების აბსოლუტურ უმრავლესობას საექსპლოატაციოდ გადასცემენ „კარგი“ და „ფრიადი“ შეფასებით.

ხუთწლედში საექსპლოატაციოდ გადასცემენ 550 ათას ტონა კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართობს. უზრუნველყოფენ სოციალურ-საყოფაცხოვრებო და კულტურული დანიშნულების ობიექტების ასაშენებლად გამოყოფილი სახსრების გადაჭარბებით ათვისებას, სამშენებლო სამუშაოების ხარისხიან შესრულებას.

ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების დაწესებულებათა საქმიანობის ორგანიზაციის პროგრესული ფორმების დანერგვით დააჩქარებენ მომსახურების სფეროს საწარმოთა გარდაქმნას. კონტეინერული, დაფასოებული და ავტომატური სისტემით ვაჭრობას გაფართოებენ 1,5-1,7-ჯერ. მოლიანად უზრუნველყოფენ ცხელი კვებით მოსწავლეებს, მუშებსა და მოსამსახურეებს სამუშაო ადგილებზე.

არსებითად გააუმჯობესებენ ხუთწლედში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ხარისხს და გაადიდებენ მის მოცულობას ხუთწლედში 45,8, ხოლო 1987 წელს — 82 პროცენტით.

1990 წლისათვის მთლიანად დააკმაყოფილებენ მოსახლეობის მოთხოვნილებას საყოფაცხოვრებო ტექნიკისა და რადიო-აპარატურის შეკეთებაზე, ტანსაცმლის რეცხვასა და ქიმიურ წმენდაზე.

მიაღწევენ ბუნების დაცვის მიზნით გამოყოფილი სახსრების ეფექტიან გამოყენებას. ერთიორად და მეტად შეამცირებენ იმ წერტილების რიცხვს, რომლებიც აბინძურებენ წყალსა და ჰაერს.

განამტკიცებენ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, მეცნიერი მუშაკების, შემოქმედი ინტელიგენციის კონტაქტს ქალაქის შრომითს კოლექტივებთან და მოსახლეობასთან. გააფართოებენ სკოლებისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ქსელს. ნაყოფიერი შრომის ყველა პირობას შეუქმნიან უფროსკლასელებს, ჩამოაყალიბებენ 2 საპროფორიენტაციო ცენტრს. 1990 წლისათვის ქალაქის ყველა სკოლაში შექმნიან კომპიუტერულ კლასებს.

ქალაქის მეცნიერ მუშაკთა ძალებით 1987 წელს დაამუშავებენ 22 პრობლემურ საკითხს; დაამთავრებენ სულ ცოტა 15 თემის დამუშავებას და დანერგავენ მათ წარმოებაში. მეცნიერული ძიების შედეგად დაზოგავენ 1,3 მილიონ მანეთს.

მომდინარე ხუთწლედში საექსპლოატაციოდ გადასცემენ ჯანმრთელობის დაცვის 7 დიდ ობიექტს, მათგან 2-ს — 1987 წელს.

გააუმჯობესებენ მოსახლეობის უზრუნველყოფას ყოველწლიური დისპანსერიზაციით: ხუთწლედში — 95-მდე, ხოლო 1987 წელს — 80 პროცენტამდე.

განაგრძობენ ტრადიციულ სოციალისტურ შეჯიბრებას ქალაქ რუსთავთან და მომმე აზერბაიჯანსა და სომხეთის მეორე ინდუსტრიული ცენტრების — კიროვაბადისა და ლენინაკანის მშრომელებთან.

სოციალისტური ვალდებულებები მიღებულია ქალაქ ქუთაისის შრომითს კოლექტივებსა და ორგანიზაციებში.

ᲒᲐᲕᲠᲪᲐᲠᲓᲝᲗ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲘᲤᲮᲘᲖᲚᲔ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲑᲐᲜᲖᲔ

სახელმწიფო საზღვარი, რომლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უბანი გადის საქართველოს სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, მოითხოვს არა მარტო მწვანეეუდიანი მეომრების, არამედ ყველა იმათ პოლიტიკურ სიმწიფეს, პატრიოტიზმს, უდიდეს პასუხისმგებლობასა და სიფხიზლეს, ვინც საბჭოთა ადამიანებისათვის უცხო კაპიტალისტური სამყაროს უშუალო სიახლოვეს ცხოვრობს. სამშობლოს სამხრეთი საზღვრების დაცვაში დიდი წვლილი შეაქვს ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობას. რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოების ყურადღების კიდევ ერთი თვალსაჩინო დადასტურება გახდა ბათუმში გამართული რესპუბლიკური თათბირი სახელმწიფო საზღვრის დაცვის ინტერესებისათვის პოლიტიკური სიფხიზლის შემდგომი გაძლიერების საკითხებზე.

თათბირზე მოწვეული იყვნენ ავტონომიური რესპუბლიკების, მთელი რიგი ქალაქებისა და რაიონების პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული, სამართალდაცვითი ორგანოების ხელმძღვანელები, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქების ნაწილებისა და ქვედანაყოფების წარმომადგენლები, საქართველოს სსრ ადმინისტრაციული ორგანოებისა და სამხედრო კომისარიატის ხელმძღვანელი მუშაკები.

პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები ჯ. ი. პატიაშვილი, ბ. ვ. ნიკოლსკი, ბ. ვ. ადლეიბა, გ. ხ. ემირიძე, ჯ. ვ. მარგველიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე ვ. გ. ბაქრაძე, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის ჯარების უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი გ. ა. ზგერსკი, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი — პოლიტსამმართველოს უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი ვ. ლ. გულვეიჩი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის პოლიტგანყოფილების უფროსი, გენერალ-მაიორი გ. ა. კუცი.

(დასასრული 30-ე გვ.).

ᲛᲔᲗᲔᲠᲗᲛᲔᲢᲔ ᲛᲝᲬᲕᲔᲕᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲡᲔᲡᲘᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔ

საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია გაიხსნება დღეს, 29 ნოემბერს, 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲣᲮᲣᲪᲔᲡᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომა გაიმართება დღეს, 29 ნოემბერს, 9 საათსა და 30 წუთზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

Մ. Ս. ԳՈՐԲԱՉՈՎԻ ՄՈՍԿՈՎՍ ԴԱԲՐՈՒՆԴԱ

ᴅᴇʟɪ, 28 ɴᴏᴇᴍʙᴇʀɪ. (ᴋᴀᴅᴇʟɪᴀ ᴘʀᴇꜱꜱ ᴄᴏʀʀ.). ᴅᴇʟɪ ᴅᴀᴅᴇᴍᴀ ᴋᴜᴍᴀʀᴀ ᴋᴀᴍᴀᴛᴀ ᴅᴀᴅᴇᴍᴀ ᴋᴜ

გავზარდოთ პოლიტიკური სივხიზლე საქმიანობის ყველა უბანზე

(დასასრული)

თათბირი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ბ. ვ. ნიკოლსკიმ.

მოხსენება გააკეთა გენერალ-ლეიტენანტმა გ. ა. ზგერსკიმ.

თათბირზე გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ნ. ო. ნადარაია, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. მ. ცუგბა, პოლკოვნიკი ა. ი. ვინოგრადოვი, საქართველოს კომპარტიის ხელვაჩაურის რაიკომის პირველი მდივანი ნ. მ. გოგიტიძე, საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. პ. ვოიეცეკი, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, შინაგანი სამსახურის გენერალ-მაიორი ვ. ი. შადური, პოლიტმუშაკი მ. მ. გალიმარდანოვი, საქართველოს კომპარტიის ახალციხის რაიკომის პირველი მდივანი შ. გ. შანიძე, სასაზღვრო საგუშაგოს უფროსი, მაიორი ა. ვ. მამუჩიძე, ახალქალაქის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე თ. კ. ლაზარაშვილი, საქართველოს ალკაკ სასაზღვრო რაიკომის პირველი მდივანი მ. დ. დავითაძე, სასაზღვრო კომენდატურის კომენდანტი პოდპოლკოვნიკი გ. გ. ლაზიაშვილი.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

საბჭოთა სახელმწიფოს უშიშროებისა და მისი საზღვრის ურღვევობის საკითხს, ხაზგასმით აღინიშნა თათბირზე, დიდი ყურადღება დაუთმო სკკპ XXVII ყრილობამ, რომელზეც განსაკუთრებული ძალით აღინიშნა, რომ საჭიროა დიდი სიფხიზლე და პასუხისმგებლობა დაეუპირისპიროთ იმპერიალიზმის სპეცსამსახურების გაძლიერებულ ძიერგამომთხრელ საქმიანობას სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ.

ასრულებენ რა პარტიული ფორუმის გადაწყვეტილებებს, ამიერკავკასიელი მესაზღვრენი, სასაზღვრო რაიონების მცხოვრებნი განამტკიცებენ მიღწეულს სახელმწიფო საზღვრის დაცვაში, დღეგანდღეობის მოთხოვნათა გათვალისწინებით ახორციელებენ ძირეულ გარდაქმნას ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობაში, მთელ მეცადინეობას ახმარენ დიდი საბოლოო შედეგების მიღწევას. საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი საზღვრის ზონაში მტკიცედ და უნარიანად აღიკვეთება სამშობლოს წმიდათაწმიდა საზღვრების დარღვევის ცდები, ანტისაბჭოური და სხვა იდეოლოგიურად მავნე მასალების, კონტრაბანდული სპონსლისა და ვალუტის შემოტანა. რესპუბლიკაში აქტიურად მოქმედებენ ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულები, მესაზღვრეთა ნორჩი მეგობრების რაზმები, კომკავშირული ოპერატიული რაზმები. რაზმეულთა ხახვარზე მეტს კომუნისტები და კომკავშირელები, შრომის მოწინავეები, ორდენოსნები შეადგენენ.

სასაზღვრო ჯარებისადმი აქტიური დახმარებისათვის, ამ დროს გამოჩენილი სიფხიზლისა და უნარიანი მოქმედებისათვის მარტო წელს სახალხო რაზმეულების მრავალი წევრი წახალისდა, დაჯილდოვდა მედლებით „სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის დაცვაში წარჩინებისათვის“, პირველი და მეორე ხარისხის სამკერდე ნიშნით „სასაზღვრო ჯარების წარჩინებული“. საქმის ასეთი დაყენების პირობებში მესაზღვრეთა ძალები მრავალგზის იზრდება.

მოსახლეობაში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მოწყობისას პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები, პირველადი პარტიული ორგანიზაციები დიდ ყურადღებას უთმობენ მშრომელთა შორის ჯარების ისტორიისა და საბრძოლო ტრადიციების პროპაგანდას, სასაზღვრო რაიონების მცხოვრებთა სამხედრო-პატრიოტულ აღზრდას. საზღვრის მეღამთა შორის კი ფართო პროპაგანდას უფრთხილდებიან მშრომელთა წარმატებებს.

პოლიტიკური სიფხიზლის გადიდებასთან, სახელმწიფო საზღვრის დაცვის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული პრობლემები, როგორც წესი, უკავშირდება იდეურ-პოლიტიკური და სამხედრო-პატრიოტული მუშაობის ბევრ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას, სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებას, მოსახლეობის პასუხისმგებლობის, შეგნების გაძლიერებას, ითქვა თათბირზე. საზღვარი ხომ განსაკუთრებულ მოთხოვნას უყენებს თითოეულ კომუნისტს, თითოეულ ადამიანს, რაზმავს და დისციპლინას აჩვევს. ამიტომაც სასაზღვრო რაიონში პოლიტიკური სიფხიზლის ზრდის, დისციპლინის განმტკიცების ღონისძიებანი რესპუბლიკის ყველა პარტიული ორგანიზაციისთვის ეტალონი უნდა გახდეს.

ეს მოთხოვნები განუზომლად იზრდება საბჭოთა საზოგადოების განვითარების ახლანდელი გარდამტეხი პერიოდის, ყველგან მუშაობის სტილისა და მეთოდების გარდაქმნის პირობებში. არ უნდა დავივიწყოთ, რომ საზღვარი განსაკუთრებით მგრძნობიარედ რეაგირებს ყოველ პოლიტიკურ აქციაზე, ხდება კონკრეტულ საქმეთა, მიღწევათა, გრძნობათა თავისებური ბარომეტრი. საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ახალი დინამიკური, შეტევითი ხასიათი, რომელმაც გამოავლინა დასავლეთის ზოგიერთი პოლიტიკური დაჯგუფებისა და რეაქციული წრეების სრული უსუსურობა, უდავოა, იმპერიალიზმის საიდუმლო სამსახურებს აიძულებს ეძებონ ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ ძირგამომთხრელი მოქმედების ახალი ფორმები და ხერხები, გააქტიურონ იდეოლოგიური დივერსიები.

მეორე მხრივ, სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი გაფართოება, კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარება, მასებთან გულახდილი დიალოგი, რაც ბუნებრივი გახდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმისა და პარტიის XXVII ყრილობის შემდეგ, თვისებრივად ახალ მოთხოვნებს უყენებს ადამიანთა იდეოლოგიური აღზრდის ყველა ფორმას. აზრის გამოთქმის თავისუფლება ხომ გულისხმობს მეტ პასუხისმგებლობასაც თითოეული სიტყვისათვის, იგი არ უნდა იწვევდეს დემაგოგიას, ჭორაობასა და ცილისწამებას. გვერდს არ ვიუვლიდეთ სირთულეებს — ნიშნავს ვიძებდეთ წამოჭრილი პრობლემების გადაჭრის, ნაკლოვანებების აღმოფხვრის კონსტრუქციულ გზებს და არ ვაზვიადებდეთ მათ. და აქ საჭიროა მტკიცე იდეოლოგიური დისციპლინა, დიდი პოლიტიკური სიფხიზლე.

ამ მხრივ ბევრ რამეს გვაძლევს კონტაქტები არმიელ კომუნისტებთან, მესაზღვრეებთან, რომელთაგან ბევრი რამის სწავლა შეიძლება დისციპლინის განმტკიცების, მოვალეობის სანიმუშო შესრულების, სამშობლოს, ჩვენი ხალხის ერთგული სამსახურის თვალსაზრისით. ამ ურთიერთგამდიდრებითაც ვლინდება არმიისა და ხალხის დიადი ერთიანობა, პარტიული გამოცდილების გამაერთიანებელი ძალა. უწინარეს ყოვლისა, მნიშვნელოვნად იზრდება ახალგაზრდობასთან იდეოლოგიური მუშაობის როლი და პასუხისმგებლობა, რომლის უმნიშვნელოვანესი მიმართულებებია სამხედრო-პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდა. არმიელ კომუნისტებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ამ მუშაობაში, დიდ მხარდაჭერას უწევენ რესპუბლიკის პარტორგანიზაციას, პარტიულ კომიტეტებს, მათ შორის სასაზღვრო რაიონებში.

უკანასკნელ წლებში, აღინიშნეს ორატორებმა, ამაღლდა რესპუბლიკის ახალგაზრდობის წვევამდელი და გასაწვევი მომზადების დონე. გაუმჯობესდა სამხედრო სპეციალობათა ათვისება, რუსულ ენის ცოდნა, იზრდება სხვადასხვა უმაღლეს სამხედრო სასწავლებელში ჩარიცხულ მკვიდრ ეროვნებათა ჭაბუკების რიცხვი. ამავე დროს ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებებიც, რომელებმაც შეიძლება შემდეგ გავლენა მოახდინოს ახალგაზრდა ადამიანის აზროვნებაზე, მის ფიზიკურ და ზნეობრივ წრთობაზე.

მაგალითად, ჩვენი რესპუბლიკის ახალწვეულებს, რომლებსაც ძვთ მშთ ნიშანი, არ შეუძლიათ ღერძზე აწევა, ცურვა, ვერ უძლებენ კროსებს. სამხედრო კომისარიატები რესპუბლიკის პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, სპორტსაკომს ორგანოებთან ერთად ვალდებული არიან გადამწყვეტი ღონისძიებანი განახორციელონ ასეთი ფორმალიზმისა და მოჩვენებითობის აღმოსაფხვრელად.

ბევრი ნაკლი და დარღვევაა დოსაფის სკოლების საქმიანობაში, რომლებიც ამზადებენ სპეციალისტებს შეიარაღებული ძალებისათვის. რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატმა ბოლო უნდა მოუღოს გასაწვევ მუშობაში არსებულ ნეგატიურ მოვლენებს. ჯერ კიდევ აქტუალურია, განსაკუთრებით ბევრ მაღალი მთისა და დაშორებული სასაზღვრო რაიონში, რუსული ენის სწავლების გაუჯრობესების საკითხები. სკოლადამთავრებულ ჭაბუკს უნდა ჰქონდეს სიტყვების შეუზღუდავი მარაგი, თავისუფლად მიმართავდეს ამ ენაზე თავის თანატოლებს, რომლებთანაც ერთად ეუფლება მხედრულ სპეციალობას. ზოგჯერ ფორმალიზმი და უსულგულობა შეინიშნება მესაზღვრეთა ნორჩი მეგობრის მუშაობის ორგანიზაციაში.

თათბირზე განიხილეს სახალხო რაზმეულებისა და შინაგან საქმეთა ორგანოების საქმიანობის შემდგომი გაქტიურების, საზღვრისპირა რაიონის თითოეული მცხოვრების სიფხიზლის გადიდების, იდეოლოგიური სამსახურებისა და დაწესებულებების კონტრაროპაგანდისტული მუშაობის სრულყოფის საკითხები. ხაზგასმით აღინიშნა, რომ უნდა გაძლიეროთ ბრძოლა სხვადასხვა ჯურის ანტისაზოგადოებრივი ელემენტების, სასაზღვრო ზონაში მოკალათებული მაწანწალების წინააღმდეგ. მათ შორის, შეიძლება იყვნენ ძებნილი დამნაშავეები, და ზრუნვა ამისათვის უნდა გახდეს არა მარტო მილიციის ორგანოების, არამედ მთელი საზოგადოებრიობის საქმეც.

გამოსლებში აღინიშნა, რომ მესხეთის ზონის რაიონებიდან ყოველწლიურად სეზონურ საშოვარზე მრავალი ადამიანი მიდის. ამიტომ ადგილობრივმა ორგანოებმა რაც შეიძლება ოპერატიულად უნდა მოჰკიდონ ხელი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ამასწინანდელ სესიაზე მიღებული ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ კანონის პრაქტიკულ განხორციელებას, რათა შრომითი შოტენციალი მოხმარდეს თვით რაიონების საჭიროებათა დაკმაყოფილებას. უნდა ვიმოქმედოთ საქმის გაუჭიანურებლად, შემოქმედებითად, უნარიანად გამოვიყენოთ ახალი კანონით მოხმეული შესაძლებლობანი და ამავე დროს ჩანასახშივე აღკვეთოთ ნეგატიური პროცესები, კერძომესაკუთრული მისწრაფებანი, მივაღწიოთ სამხედრო-საყოფაცხოვრო დისციპლინის ყველგან განმტკიცებას, გადაჭრით ვებრძოლოთ ამ საქმეში დარღვევებსა და ნაკლოვანებებს.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის კურსი, რომლის მიზანია ბრძოლა გაძლიერება მეურნეობის, ქურდობის, სოციალისტური საკუთრების დატაცების, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ, ყველა თანამდებობის პირის, თითოეული კომუნისტის პასუხისმგებლობის გაძლიერება სოციალური სამართლიანობის პრინციპების დამკვიდრებისათვის, მოითხოვს მაქსიმალურ პასუხისმგებლობას, შეგნებას, დიდ პოლიტიკურ სიფხიზლეს პარტიული, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის თითოეულ უბანზე. პარტია კვლავაც ყველაზე პრინციპულ და მკაცრ შეფასებას მისცემს პოლიტიკური და ზნეობრივი თავაშვებულობის, მორალური ხრწნის, მავნე ნაციონალისტური განწყობილებების, სხვა ნეგატიური მოვლენების ყოველ გამოვლენებას.

პოლიტიკური სიფხიზლის ცნება დღეს გულისხმობს სრულიად კონკრეტულ აზრს, კონკრეტულ შინაარსს, სწორედ პოლიტიკური სიფხიზლის გადიდებასთან არის დაკავშირებული პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცების, მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღების ღონისძიებანი, რომლებიც ამ ბოლო დროს ხორციელდება. ეს უნდა გაითვალისწინონ ყოველდღიურ მუშაობაში პარტიულმა კომიტეტებმა, საბჭოთა, კომკავშირულმა, სამეურნეო, ადმინისტრაციულმა ორგანოებმა, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა.

თათბირის მონაწილეებმა განხილულ საკითხზე მიიღეს რეკომენდაციები.

• • •

იმავე დღეს თათბირის მონაწილენი ეწვივნენ ქალაქ ბათუმის წითელდროშოვანი სასაზღვრო რაზმის, ერთ-ერთ საგუშაგოს. ისინი გაეცნენ მესაზღვრეთა საბრძოლო და პოლიტიკურ სწავლებას, ყოფას, დაესწრნენ სამშობლოს საზღვაო და სახმელეთო საზღვრების დამცველთა გაერთიანებულ საჩვენებელ წვრთნას.

(საქინფორმი).

სამომხმარებლო კოოპერაცია: გარდაქმნის ამოცანები

რესპუბლიკაში იმყოფებოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, „ცენტროსოიუზის“ გამგეობის თავმჯდომარე, საერთაშორისო კოოპერაციული ალიანსის ვიცეპრეზიდენტი მ. პ. ტრუნოვი. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან ო. ე. ჩერქეზიასთან, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანთან გ. ნ. ენუქიძესთან, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგესთან ე. ე. კაპბასთან ერთად იგი ეწვია ცეკავშირის სისტემის მთელ რიგ საწარმოებს, ესაუბრა მუშებსა და მოსამსახურეებს, გამოიკითხა, თუ როგორია მათი შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობები.

რესპუბლიკაში სტუმრობა მ. პ. ტრუნოვმა იმით დაიწყო, რომ ეწვია „საქკოოპმრეწვის“ სამმართველოს თბილისის ნაირმრეწვკომბინატს. საწარმო უშვებს ოცზე მეტი დასახელების სახალხო მოხმარების საქონელს. სოფლის მოსახლეობის მოთხოვნით სარგებლობს შეკერილი, საგალანტერეო ნაწარმი, ბუნებრივი და ხელოვნური ბეწვეულის საქონელი, ქუდები და ა. შ. კომბინატის კოლექტივს ურჩიეს უფრო მეტად იზრუნოს ნაწარმის ჯეროვანი ხარისხისა და ასორტიმენტის განახლებისათვის.

მაღალი შეფასება მიეცა თელეთის საწარმოო კომპლექსის საქმიანობას, რომელშიც შედის საზეიმო სასახლე დამხმარე მეურნეობებითურთ. აქ მოგვარებულია ფართო ასორტიმენტის საკუთარი პროდუქციის გამოშვება, ინახავენ მსხვილფეხა რქიან პირუტყვსა და ფრინველს, შექმნილია უნარჩენო წარმოება. კომპლექსის დადებითი თვისებაა ცენტრალური გამოცდილება მისახურებს განზოგადებასა და გავრცელებას „არა იუზის“ მუშაობისა. [illegible] ტრუნოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ცეკავშირმა ძირეულად უნდა გარდაქმნას სავაჭრო პროცესი თანამედროვე მოთხოვნების მიხედვით, გამოავლინოს სასაქონლო დაფარვის ახალი რეზერვები, მიიღოს ზომები ყოველდღიური მოთხოვნის საქონლის ვაჭრობაში შეფერხებათა შემთხვევების თავიდან აცილებისათვის, მარჯვედ გამოიყენოს შესაძლებლობანი, რომლებიც მას შემდეგ გამოვლინდა, რაც ამ ორგანიზაციას გადაეცა მოსახლეობაში სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადების ფუნქციები. ზენორმატიული მარაგის შემცირების ტენდენციის მიუხედავად, ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გაკეთდეს, საჭიროა აგრეთვე საიმედო დაბრკოლება შეექმნას საცალო ქსელში დაბალი ხარისხის საქონლის შეღწევას, რომელზეც მოსახლეობის მოთხოვნა არ არის, მიიღწიონ, რომ მრეწველობა თავის საწარმოო პროგრამას აგებდეს ვაჭრობის შეკვეთისა და განაცხადების შესაბამისად.

მიღებულია გადაწყვეტილება იმ კომპლექსურ ღონისძიებათა შემუშავების შესახებ, რომელთა მიზანია ცეკავშირის ფუნქციათა შემდგომი გაფართოება და მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება.

შეხვედრაზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი. (საქინფორმი).

მსჯელობენ მანქანათმშენებლები

რესპუბლიკის მანქანათმშენებელი კომპლექსის ოპტიმალური მოქმედება ბევრად არის დამოკიდებული საავტომობილო მრეწველობის სამინისტროს, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს და მეცხოველეობისა და საკვებწარმოების მანქანათმშენებლობის სამინისტროს დარგების საქმიანობის დონეზე. ამ დარგებში 90 პირველადი, 151 საამქრო პროფკავშირული ორგანიზაცია თითქმის 28 ათას კაცს აერთიანებს. ეს დიდი ძალაა. მაგრამ ყოველთვის მარჯვედ გამოიყენება თუ არა იგი საჭირბოროტო სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადასაწყვეტად?

ამ კითხვას პასუხი გასცა საქართველოს საავტომობილო, სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის მუშათა პროფკავშირის კონფერენციამ. მომხსენებელმა — ამ პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ მ. მ. აბასოვმა, სხვა ორატორებმა ძირითადი ყურადღება მიაპყრეს პრობლემებსა და ნაკლოვანებებს. მაგალითად, რეალიზაციის მიმდინარე წლის ათი თვის გეგმა ვერ შეასრულეს თბილისის ქარხანამ „საქსოფლმანქანამ“, ქუთაისის მოტოლოკომბინატის ქარხანამ. ამ უკანასკნელმა მომხმარებელს დააკლო 800 ათასი მანეთის პროდუქცია. ქრონიკულად ჩამორჩება გაერთიანება „ქუთაისის საავტომობილო ქარხანა“. მის პროფკავშირულ კომიტეტს კი ნაკლებად აინტერესებს, როგორ იყენებენ აქ საწარმოო სიმძლავრეებს. სწორედ აქედან გამომდინარეობს არცთუ სასიამოვნო პრაგნოზი: წელს გაერთიანება მომხმარებელს დაახლოებით 6 ათას ძროვას დააკლებს. ვნება ადგება პროდუქციის ხარისხსაც — ჯარიმის სახით საწარმომ უკვე მილიონამდე მანეთი გადაიხადა.

მაგრამ საქმე მარტო მატერიალური ზარალი როდია, ითქვა კონფერენციაზე. ეს ხომ საქართნო მარკის, და კაცმა რომ თქვას, მთელი რესპუბლიკის პრესტიჟია, და, საბოლოო ანგარიშით, იგი პირდაპირ გავლენას ახდენს მუშათა კეთილდღეობაზეც. მდგომარეობის გამოსწორების დაგვიანება დაუშვებელია: მომავალი წლიდან გაერთიანება პროდუქციის სახელმწიფო მიღებაზე უნდა გადავიდეს.

ხარისხის გაუმჯობესების დარგში ბევრი რამ დაკავშირებულია სამეურნეო ანგარიშის — მისი მთავარი პრინციპის — შრომის საბოლოო შედეგების მიხედვით ანაზღაურების დანერგვასთან. საბოლოო შედეგი კი პროდუქციის და მისი რეალიზაციით მიღებული სახსრებია. მაგრამ ამ დარგების პროფკავშირული ორგანიზაციები სამეურნეო ანგარიშის მასობრივი დანერგვისათვის ჯერ მზად არ არიან, აღინიშნა კონფერენციაზე. ამას მოწმობს ამ პრინციპით მომუშავე ბრიგადების მეტად მცირე რაოდენობა. ისეთ დიდ გაერთიანებებში კი, როგორიც „საქსოფლმანქანა“ და „ავტოტექმომსახურებაა“, ისინი საერთოდ არ არის.

ორატორებმა გამოთქვეს შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პროგრესული ფორმების დანერგვის, სოციალისტური ქმედითობის გაძლიერების კონკრეტული წინადადებანი. განსაკუთრებული მსჯელობის საგანი გახდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებასთან, შრომის ნაყოფიერების გადიდებასთან, პროდუქციის ხარისხის გაუჯობესებასთან, სახელმეურეობო მიწოდების შესრულებასთან დაკავშირებული საკითხები. ხაზგასმით აღინიშნა, რომ პროფკავშირების საზრუნავი უნდა გახდეს ბაშურაში, ჭვარსა და თეთრ წყაროში დარგების საწარმოთა მომდინარე ხუთწლედში გათვალისწინებული მშენებლობის უზრუნველყოფა, ტექმომსახურების ოცდაათზე მეტი ახალი ობიექტის საექსპლოატაციოდ გადაცემა, მოსახლეობის მომსახურების მოცულობის გადიდება. თავიანთი სიტყვა უნდა თქვან პროფკავშირებმა გამსხვილებული კომპლექსური და გამჭოლი ბრიგადების შექმნაშიც, ორ-სამცვლიან მუშაობის რეჟიმზე გადასვლისათვის საწარმოთა მომზადებაშიც.

კონფერენციაზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე გ. გ. გუმბარიძე.

(საქინფორმი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის მოწყობასთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს 28 ნოემბერს გამართულ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე.

განიხილეს და მოიწონეს წინადადებანი რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს სესიის მუშაობის დღის წესრიგისა და წესის შესახებ.

ცნობად არის მიღებული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-სანიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის ლ. ი. ხაბურზანიას ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საგეგმო-სანიუჯეტო და სხვა მუდმივმა კომისიებმა დაამთავრეს მუშაობა საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1987 წლის სახელმწიფო გეგმისა და საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის, საქართველოს სსრ 1987 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1985 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის წინასწარი განხილვისათვის, მოამზადეს მათ გამო დასკვნები რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში წარსადგენად.

სხდომაზე მოისმინეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განსჯახულობათა კომისიის თავმჯდომარის ნ. ა. ფოფხაძის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ამ კომისიამ და სახალხო განათლებისა და კულტურის კომისიამ დაინტერესებული სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით დაამთავრეს მუშაობა, რათა წინასწარ განეხილათ ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებებთან დაკავშირებით სახალხო განათლების შესახებ საქართველოს სსრ კანონსა და საქართველოს სსრ სხვა საკანონმდებლო აქტებში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს სსრ კანონების პროექტები. პრეზიდიუმმა მოიწონა ორივე კანონის პროექტები და მიიღო გადაწყვეტილება განსახილველად წარუდგინოს ისინი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიას.

განიხილეს საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს შესამე და მეოთხე სესიებს შუა პერიოდში მიღებული რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად შეტანის საკითხი.

შემდეგ პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი იმის შესახებ, თუ რა მუშაობას ეწევა მაიაკოვსკის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭო შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებაში, სოციალისტური საკუთრების დაცვასა და სამართალდარღვევების პროფილაქტიკაში შრომითი კოლექტივების როლის გადიდებისათვის სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად. აღნიშნეს რა გარკვეული წარმატებები, სხდომის მონაწილეებმა ამავე დროს ხაზი გაუსვეს, რომ ამ მიმართულებით ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მუშაობა სრულად არ შეესაბამება დროის მოთხოვნებს. რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოები, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები და სამეურნეო ხელმძღვანელები ნელა გარდაქმნიან შრომითი კოლექტივების შესახებ კანონის მოქმედების პირობებში თავიანთი საქმიანობის სტილსა და შეთოდებს. აქ ჯერ კიდევ ვერ მიაღწიეს, რომ საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივები მთლიანად ახორციელებდნენ მათთვის მინჭებულ ფართო უფლებებს საწარმოო, აღმზრდელობითი ამოცანების გადაწყვეტისათვის, მართვაში დენოკრატიული პრინციპების განვითარებისათვის. შრომითი კოლექტივები ჯერ კიდევ არ გამხდარან კერძომესაკუთრული ტენდენციების, დატაცების, წამატებებისა და თვალის ახვევის წინააღმდეგ აქტიური მებრძოლები.

მიღებულ დადგენილებაში მაიაკოვსკის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომს დაევალა განახორციელოს გადამწყვეტი ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, ყოველი ღონე იხმაროს სამართალდარღვევების პროფილაქტიკისათვის, ყველგან და ყველაფერში დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცებაში შრომითი კოლექტივების როლის გაძლიერებისათვის. შესაბამისი დავალებები მიეცათ რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს.

პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად ზესტაფონის რაიონში მოქალაქეთა მიმართვებზე მუშაობის, მოსახლეობის კრებების, შრომითის კოლექტივებში და საცხოვრებელ ადგილას გამსვლელი მიღებისა და „ღია წერილის დღის“ მოწყობის პრაქტიკის შესახებ. გააანალიზეს რა საქმის ვითარება, სხდომის მონაწილეებმა ყურადღება მიაპყრეს არსებულ ნაკლოვანებებს. რაისაბჭოს აღმასკომს დაევალა მთელი თავისი საქმიანობა მოახმაროს ზუსტად სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი გაღრმავების შესახებ პარტიის მითითებების შესაბამისად მოქალაქეთა წერილების განხილვისა და მიღების ორგანიზაციის ყოველმხრივ სრულყოფას, საბჭოთა აპარატში ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების, ადამიანთა საჭიროებებისადმი გულგრილი, ფორმალური დამოკიდებულების ფაქტების აღმოფხვრას.

პრეზიდიუმის სხდომაზე მიღებულია გადაწყვეტილება მომდინარე წლის 15-22 დეკემბერს მოეწყოს ამომრჩევლებთან საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა შეხვედრების ერთიანი კვირეული. (საქინფორმი).

საუბარი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ენუქიძე ესაუბრა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის დელეგაციას, რომელიც ჩვენს ქვეყანაში იმყოფება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის პარტიათშორისი ურთიერთობის გეგმის შესაბამისად. სტუმრებს გააცნეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისადმი ხელმძღვანელობისათვის რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის მუშაობა, პარტიის კონფორმიკური სტრატეგიის იდეოლოგიური უზრუნველყოფის პრაქტიკა.

საუბრის დროს ხაზგასმით აღინიშნა, რომ გარდაქმნის პროცესი სრულად შეეხო იდეოლოგიურ მუშაობას. სკკპ XXVII ყრილობის შემდეგ იგი შეიესო ახალი შინაარსით, გახდა უფრო მიზანმიმართული, შეტევითი, რესპუბლიკის ჟურნალისტები მტკიცედ, გაბედულად ავლენენ და ამთარაზებენ ნაკლოვანებებს, საზოგადოებრიობის სამსჯავროზე გამოაქვთ საჭირბოროტო პრობლემები.

პოლონეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგემ ი. ბორეცკიმ მადლობა გადაიხადა გულთბილი მიღებისათვის და აღნიშნა, რომ ვიზიტი სასარგებლო იყო. ბევრი რამ საქართველოს პარტიული ორგანიზაციის იდეოლოგიურ მუშაკთა გამოცდილებიდან, თქვა მან, დაგვეხმარება პრაქტიკულ საქმიანობაში.

საუბარში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ს. სლობოდენიუკი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები ნ. ფოფხაძე და რ. გოგლიძე, გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორი ნ. ჩერქეზიშვილი.

(საქინფორმი).



ფაფრალოელი მწყემსი

3.300 კილოგრამი მატყლი — გეგმაზე ასი კილოგრამით მეტი უკვე დაამზადეს ბოლნისის რაიონის ფაფრალოს საბჭოთა მეურნეობის მწყემსებმა, რომლებიც 3.200 ცხვარს უვლიან.

კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს მეცხვარეებმა სულადობის მატების საქმეში, ყოველ ას ნერბზე საგეგმო 88-ის ნაცვლად მათ 85 ბატკანი მიიღეს.

სურათებზე: მეურნეობის ერთ-ერთი საუკეთესო მწყემსი იასონ გულმამედოვი; ფაფრალოს საბჭოთა მეურნეობის ცხვრის ფარა.

ი. დავითაშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საკდესის განცხადება

შეერთებულმა შტატებმა მორიგი ნაბიჯი გადადგა საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი გამწვავების გზაზე — გადაწყვიტა თავისი ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტები „ლენსი“ გაწალაგოს სამხრეთ კორეაში. მრავალი წლის მანძილზე ამერიკის მხედრობრივ უკვე გადაქცია სამხრეთი კორეა აფეთქებასაშიშ ბირთვულ პლაცდარმად, სადაც განლაგებულია ასობით ბირთვული მუხტი და მათი მიტანის მრავალრიცხოვანი საშუალებანი — საარტილერიო ქვემეხებით დაწყებული და უახლესი თვითმფრინავებით დამთავრებული. ახლა კი საქმე ეხება ამ ბირთვული პოტენციალის დამატებით ახალი კლასის შეიარაღების — მიწისზედა ბაზირების რაკეტების განლაგებას, რომლებსაც შეუძლიათ როგორც ჩვეულებრივი, ისე ბირთვული და ნეიტრონული მუხტების ტარება.

ყურადღებას იპყრობს ის, რომ შეერთებულმა შტატებმა ეს აქცია განახორციელა იმ ისტორიულ მომენტში, როცა სსრ კავშირის კონსტრუქციული ინიციატივ

აღმშენებლობის მარშით

საბჭოთა სომხეთი 66 წლისაა

სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 66 წლისთავს რესპუბლიკის მშრომელები ეგებებიან დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რომელიც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დასაჩქარებლად გამიზნულმა სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებმა გამოიწვია.

სომხეთის სოციალისტური საელმწიფოებრიობის შექმნა, საბჭოთა სომხეთის ეკონომიკური და სულიერი ცხოვრების ყოველმხრივი აყვავება თვალნათლივ ადასტურებს სოციალიზმის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის ცხოველმოქმედ ძალას. საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა დიდად განვითარებულ ინდუსტრიულ რესპუბლიკად იქცა. ეს შესაძლებელი გახდა საბჭოთა ხალხების, უწინარეს ყოვლისა დიდი რუსი ხალხის უანგარო, უდიდესი დახმარების წყალობით.

სომხეთი ამაყობს ცხოვრების ყველა სფეროში მოპოვებული მიღწევებით. რესპუბლიკის ეკონომიკის თვისებრივ ძვრებსა და რაოდენობრივ ზრდაში გადამწყვეტი როლი შეასრულა მრეწველობის მძლავრმა განვითარებამ, რომელიც დღეს რთულ მრავალდარგოვან კომპლექსს წარმოადგენს. სომხეთის მრეწველობა ფართოდ მონაწილეობს შრომის საერთო-საკავშირო ტერიტორიულ დანაწილებაში. რესპუბლიკა ქვეყნის ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსს აწვდის თანამედროვე ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანებს, ელექტროძრავებს, გენერატორებს, მოძრავ ელექტროსადგურებს, ავტომობილებს, კომპრესორებსა და სხვა ტექნიკას.

გაზრდილ სამრეწველო პოტენციალს ცხადყოფს ის ფაქტი, რომ ახლა ხუთ დღეში სომხეთი იმდენივე პროდუქციას აწარმოებს, რამდენიც მთელ 1940 წელს გამოუშვა. რესპუბლიკის მშრომელები პრაქტიკულ დახმარებას უწევენ ქვეყნის მშენებლობებს. ისინი შრომობენ ბამზე, მარეთის ამს რესპუბლიკაში, ტუმენის ოლქში.

სომეხმა ხალხმა, რესპუბლიკის ყველა მშრომელმა, რომლებიც თავიანთ მრავალსაუკუნოვან კულტურას ეყრდნობიან და ჩვენი ქვეყნის მომძე ხალხების მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის მიღწევებით მდიდრდებიან, სამეცნიერო და კულტურული მშენებლობის ყველაზე მოწინავე მიჯნები დაძლიეს. ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ დიდი აღიარება პოვა სომხეთის მეცნიერთა მიღწევებმა ასტროფიზიკის, კვანტური ელექტრონიკის, ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკის, კოსმოსური კავშირის დარგში.

მიმდინარე ხუთწლედში რესპუბლიკაში უპირველესი ყურადღება ეთმობა ინდუსტრიის იმ დარგებს, რომლებზეც დამოკიდებულია სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, მათ შორის მანქანათმშენებლობას, რადიოტექნიკურ, ელექტრონულ, ელექტროტექნიკურ დარგებს.

უახლოეს ხანს მწყობრში ჩადგება რესპუბლიკური სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხიან საინფორმაციო-გამოთვლითს მომსახურებას, ტექნიკის ეფექტიან გამოყენებას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პროდუქციის ტექნიკური დონის ამაღლებას. დასახულია კავშირგაბმულობის საშუალებების, მიკროსქემების, მართვის მოწყობილობის, ახალი გამოთვლითი და ავტომატური სისტემების წარმოების ორგანიზება, რომლებიც ტოლს არ დაუდებენ საუკეთესო მსოფლიო ნიმუშებს.

სკკპ XXVII ყრილობის შემდეგ განცალკ დროში რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში დაისახა საგრძნობი პოზიტიური ძვრები, გადაჭრით დაიძლევა ყველაფერი, რაც წინსვლას აბრკოლებს.

მრეწველობამ შეასრულა მიმდინარე წლის ათი თვის გეგმა. წარმოების მოცულობა შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით გადიდდა 5,1 პროცენტით. 3,5 პროცენტით გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, რის ხარჯზეც მიღებულია სამრეწველო პროდუქციის მატების თითქმის 70 პროცენტი. უპირატესი ტემპით ვითარდებოდა ინდუსტრიის ისეთი დარგები, როგორიც არის მანქანათმშენებლობა, საშენ მასალათა მრეწველობა. მნიშვნელოვნად გაიზარდა სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვება. კიდევ უფრო განვითარდა აგროსამრეწველო კომპლექსის გადამამუშავებელი დარგები.

გადაჭარბებით შესრულდა ძირითად სახეობათა მეცხოველეობის პროდუქტების, პირუტყვის, ფრინველის, რძის, კვერცხის, მატყლის სახელმწიფო შესყიდვის გეგმები. მისი მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ჩქარდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, რომელიც ხუთი წლის გეგმით არის დასახული. მრეწველობაში დაინერგა 99 რობოტი, დამონტაჟდა 74 ნაკადური და ავტომატური ხაზი, კომპლექსურ მექანიზაციასა და ავტომატიზაციაზე გადაყვანილია 50 უბანი, საამქრო, წარმოება. რესპუბლიკის სამეცნიერო კოლექტივებმა შეიმუშავეს მიზნობრივი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამები ყველაზე აქტუალური პრობლემების მიხედვით.

ამასთან ერთად პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების საქმიანობაში ჯერ კიდევ არის არსებითი ნაკლოვანებანი. ჩვენ არ გვაკმაყოფილებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, მისი ეფექტიანობის ზრდის ტემპი. საკმარისად აქტიურად არ წარმოებს მუშაობა წარმოების მართვისა და ორგანიზაციის სრულყოფისათვის ჩარხსაშენებელი, ელექტროტექნიკური, ხელსაწყოთსაშენებელი, მსუბუქი მრეწველობისა და სხვა დარგების მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლებისათვის. სერიოზული ნაკლოვანებებია კაპიტალური მშენებლობის დარგში.

ხელმძღვანელობენ რა სკკპ XXVII ყრილობის, ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების ისტორიული გადაწყვეტილებებით, მ. ს. გორბაჩოვის მითითებებით სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭო შეუნელებელ ყურადღებას უთმობენ სოციალისტური მეურნეობრიობის პროგრესული მეთოდების გამოყენებას, წარმოების სტრუქტურის სრულყოფას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, სახალხო მოხმარების ისეთი საქონლის გამოშვების გადიდების საკითხებს, რომელზეც მოსახლეობის დიდი მოთხოვნაა.

რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს შასრულებს პროდუქციის საელმწიფო მიღების სისტემა. მუშავდება კონკრეტული ... ღონისძიებანი, რომელთა მიზანია შეუსაბამონ ნორმატიულ-ტექნიკური [illegible] ... ტექნიკური კონტროლის სამსახურები [illegible] ... ლირების სისტემები, კადრები შერჩევა და განაწილება სახმიღების ორგანოებში.

რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში ჩაიდება სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთვის ღირსეული შეხვედრისათვის. მრავალი შრომითი კოლექტივი კისრულობს გადიდებულ ვალდებულებებს.

აღნიშნავენ რა ღირსშესანიშნავ თარიღს, საბჭოთა სომხეთის მშრომელები მთელ ძალ-ღონეს, ცოდნასა და გამოცდილებას მოახმარენ სკკპ XXVII ყრილობის მიერ დასახული სსრ კავშირის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დასაჩქარებლად გამიზნული ისტორიული კურსის წარმატებით განხორციელებას, კიდევ უფრო მეტ წვლილს შეიტანენ ჩვენი საბშობლოს მატერიალური და სულიერი სიმდიდრის გამრავლებაში.

(არმენპრესი-საქინფორმი)

სურათზე: ერევანი. ვ. ი. ლენინის მოედანი.

მომკითხველობის საზღვი

ყალბისმქნელები

ფამატებებით სახელმწიფო თანხები მიითვისეს

თბილისში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი. სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულია 15 დამნაშავე, მათ შეადგინეს ათას ტონაზე მეტი ასკილის ყალბი დამზადების ქვითრები და განსაკუთრებით დიდი ოდენობის სახელმწიფო ქონება დიეტაცეს. ბოროტმოქმედებს არ შერჩომ, მათ მკაცრი სასჯელები ელის.

მომხდარი ფაქტი აქ შემთხვევით არ მოგვიყვანია, იგი ჭკუის სასწავლებელი უნდა გამხდარიყო მათთვის, ვინც უშრომელი შემოსავლით ცდილობს ერთბაშად გამდიდრებას. მაგრამ ზოგიერთებს მგლის მადა უჩნდებათ და სიხარბეს ვერ სძლევენ. ისინი თვითონვე ებმებიან თავიანთ დაგებულ მახეში.

ასე დაემართათ თიანეთის რაიკოოპერატივის სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებადაგადამუშავებისა და საკომისიო ვაჭრობის გაერთიანების დამზადების პუნქტის გამგეებს მირონ მეჭიურს და ივანე ჭყრუნიშვილს. მათ გულსა და სულს ოქროდან გამდიდრების უკურნებელი სენი შეეყარა.

ერთმანეთს გაეჯიბრნენ... სიყალბეში. პირველმა რამდენიმე დღეში 53 ტონამდე, ხოლო მეორემ — 37 ტონამდე კურკოვანი ხილი „დაამზადეს“. რაიონის ხელმძღვანელები რაიონში ხილის დამზადების მიმდინარეობის მორიგ მონაცემებს რომ ეცნობოდნენ, სერიოზულად დაფიქრდნენ. საამისო საფუძველს იძლეოდა კურკოვანი ხილის წლევანდელი უმნიშვნელო მოსავალი. საქმეში სათანადო ორგანოები ჩარიეს და სიყალბეს ფარდა აეხადა.

რა გამოირკვა?

გამოკითხული 73 კაციდან, რომელთა სახელზე კურკოვანი ხილის ჩაბარების ქვითრები იყო გამოწერილი, უმრავლესობამ დაადასტურა, რომ მათ ხილი არც ჭკონიათ და არც ჩაუბარებიათ. რაღა თქმა უნდა, მათ სახელზე გამოწერილი ქვითრებიც ფიქციურია. აღმოჩნდნენ სინდისგარეცხლინიც, მათ „გულკეთილობის“ ყალბი ნიღბით დამნაშავეთა ხსნა განიზრახეს, რა არ მოჩმახეს, რას არ მიედ-მოედნენ, ირწმუნებოდნენ: როგორ არა, ქლიავი ჩაბარეთო. საიდან გქონდათო? — ჰკითხეს. ნათესავების, ნაცნობების, მეგობრების, ახლობლების ეზოებში მოგკრფეთო. მაშინაც არ შერცხვათ, როცა მათი ოჯახების წევრებმა განაცხადეს: კურკოვანი ხილის დამზადების არავითარი საშუალება არ გვქონიაო. დიახ, ტყუილს მოკლე ფეხი აქვს, აი ცრუმოწმენიც: თ. ფილაური, თ. მგელიაშვილი, დ. პატურაშვილი, ო. გიანაშვილი, გ. ჯოჭლაშვილი, ჯ. გიანაშვილი, თ. ბერიძე, გ. ჯერვალიძე და სხვები. ბოროტმოქმედთა ხელშემწყობებზეც ალბათ მკაცრად ამსჯელებენ, ისინი დაუსჯელნი არ უნდა დარჩნენ.

კიდევ რამდენი გულუბრყვილო წამოგგეს ბოროტმოქმედებმა თავიანთ ანკესზე! „ხილის ჩამბარებელთა“ ერთი ნაწილის ახსნა-განმარტებით ირკვევა, რომ გაერთიანების სალაროში ისინი თავად მიჰყავდათ დამამზადებლებს თავიანთი პასპორტებით. ვიღებდით ჩვენს სახელზე გამოწერილ თანხებს და მათ გადავცემდით ხოლმეო, — განაცხადეს თიანელმა დ. ხარანაულმა, ნ. გიანაშვილმა, გ. აბრამიშვილმა, ა. პატაშურმა, ზ. რიძეებლებმა გ. ჩიტაურმა, თ. ფილაურმა, ეგბოტელმა ლ. ბუთხუზაშვილმა, ტუშურებელმა ა. ცოცხალაშვილმა.

რატომ არ იფიქრეს, რომ ხელს უწყობდნენ დანაშაულს, სახელმწიფო თანხების დატაცებას, თანაც, ნუთუ ასე შეუგნებლად სჩადიოდნენ ყოველივეს, როცა მთ არავითარი სარფი არ ჰქონიათ? პირიქით, ზოგიერთი მათგანი აღიარებს, რომ ძირითად სამუშაოს მოგვწყვიტეს და გაგვაცდინესო. ნუთუ არავინ აღმოჩნდა მაშინ მათ გვერდით ამბის გამკითხავი. მით უფრო სამწუხაროა, რომ ანკესზე წამოგებულთა შორის 8 კომუნისტი და 30-მდე კომკავშირელი იყო.

ქლიავის დამზადების ყალბ ქვითრებზე კი მოგვაწერინეს ხელი, მაგრამ ფული არავის მოუციაო, აცხადებენ თიანელი ნ. აბრამიშვილი, ზარიძეებლები ნ. ჩიტაური, რ. ჩიტაური, ჩაბანოელი გ. მგელიაშვილი, ტუშურელი ი. სისაური. ეს ახალ დანაშაულს წარმოგვიჩენს, ალბათ, ფულის მიღების უწყისზე დამამზადებლები ან მათი თანამეინახენი თვითონვე აწერდნენ ხელს. ზემოთიანელები გ. ფილაური და გ. ჭრელოშვილი კი ამბობენ, არც ჩაბარების ქვითარზე მოგვწერია ხელი და არც ფული მიგვიღიაო. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ დამნაშავეე ბ ი ყალბ ქვითრებს აფორმებდნენ სხვადასხვა პირზე.

მაგრამ ყველაფერი ამით არ მთავრდება, „დამზადებული“ 65,5 ტონა ქლიავი მიიღეს თიანეთის, ხოლო 40,6 ტონა სიონის საკონსერვო ქარხნებმა, რომლებმაც „გადაამუშავეს“ და გამოუშვეს პროდუქცია“. აი, სად მარხია კიდევ ძაღლის თავი. ეტყობა, ამ საწარმოებში კვლავაც უშვებენ ფალსიფიცირებულ პროდუქციას. ამას, ალბათ, რაიონის პროკურატურა დაადგენს, რომელიც საქმეს იძიებს, და დამნაშავეებს კანონის მთელი სიმკაცრით მოჰკითხავენ. პარტიის რაიკომის მიუხედავად, ამ საკითხს თავის უახლოეს სხდომაზე განიხილავს.

რაიონის პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა, რომლებიც შეუპოვარ ბრძოლას ეწევიან ყოველგვარი ნეგატიური მოვლენის წინააღმდეგ, დაგეგმეს მომხდარი ბოროტმოქმედება. პარტიის რაიკომის მიუხედავ სპეციალურად იმსჯელა ამ საკითხზე და სწორი დასკვნები გამოიტანა.

— მომხდარი აღმაშფოთებელი ფაქტი, — აღინიშნა მიუხედავ სხდომაზე, — იმის შედეგია, რომ რაიკოოპერატივის სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადება-გადამუშავებისა და საკომისიო ვაჭრობის გაერთიანების დირექტორი ფ. გუშარაშვილი და მთავარი ბუღალტერი თ. ბეგიაშვილი (უსასუხისმგებლოდ ფიქიდნენ მინდობილ საქმეს, შეასუსტეს მომთხოვნელობა და კონტროლი, არც თვით გარდაიქმნენ და ვერც ორგანიზაციაში შექმნეს ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის ატმოსფერო. დამზადების პუნქტის გამგეებად ამუშავებდნენ არაკეთილსინდისიერ ხალხს. იგივე მეჭიური და ჭყრუნიშვილი. ალალ ეგეებისათვის წინათ განთავისუფლებული იყვნენ რაიკოოპერატივის სისტემიდან და ახლაც ერიცხებათ დავალიანებები — შესაბამისად 1.160 და 478 მანეთი. აი ასეთ ვაი-მუშაკებს დააკისრეს მატერიალური პასუხისმგებლობა.

აქვე უნდა ითქვას, რომ გაერთიანების დირექტორი ფ. გუშარაშვილი სხვებს რას მოსთხოვდა, როცა თავად არ გამოიყურება კეთილსინდისიერ კაცად. წინათ იგი მუშაობდა ტუშურების საბჭოთა მეურნეობის დირექტორად, საიდანაც განთავისუფლებულია წამატებებისა და დატაცების დაშვებისათვის.

პარტიის რაიკომის მბიურომ გაერთიანების დირექტორი ფ. გუშარაშვილი მოხსნა თანამდებობიდან და გარიცხა სკკპ რიგებიდან. რაიკოოპერატივის გამგეობას კი რჩევა მიეცა, „ათავისუფლოს გაერთიანების მთავარი ბუღალტერი, რომლის მოუქნელი მუშაობის შედეგადაც დარღვეულია აგრეთვე ხილის დამზადების ოპერაციების საბუღალტრო წარმოების წესები, არის დამამზადებლებისათვის გაცემული მკაცრი აღრიცხვის ბლანკების გაუქმების ფაქტები.

მომხდარ ფაქტს სწორ შეფასებას აძლევენ აგრეთვე პირველადი პარტიული ორგანიზაციები, შრომითი კოლექტივები. კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩაიარა ღია პარტიულმა კრებებმა რაიკოოპერატივისა და ტუშურების საბჭოთა მეურნეობაში. აღნიშნულ ორგანიზაციაში, მაგალითად, მკაცრად გააკრიტიკეს კომუნისტები მ. ფილაური, ა. იარაჯული, ბ. ჩიტაური, რომლებმაც თავიანთი დაუფიქრებლობით ხელი შეუწყვეს სიყალბეს, შეირცხვინეს პარტიელის წმინდა სახელი.

— დროზე ჩამოვიცილოთ ლაქა, ყველაფერი ვიღონოთ, რათა საბოლოოდ აღმოვფხვრათ ყოველგვარი დარღვევები და დამახინჯებანი, ადამიანმა კეთილსინდისიერად უნდა იშრომოს და იცხოვროს, — ასეთია თიანეთის რაიონის კომუნისტების, მშრომელების გულისთქმა.

დ. ბიწაძე.
„კომუნისტის“ საკ. კორ.

---

28 ნოემბერი ● საკდესი იუწყება

ვისხოვითი

ფაქტები • მოვლენები

პოზიციების ერთობა

გამოსმაურებანი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ვიზიტის გამო

დღეს, როცა მიმდინარეობს ბრძოლა ბირთვული ომის თავიდან აცილებისათვის, თვით კაცობრიობის გადარჩენისათვის, სსრ კავშირსა და ინდოეთს ამ დიად საქმეში თავიანთი უცვლელი და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ — ასეთია ინდოეთში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის ოფიციალური მეგობრული ვიზიტის გამო მრავალრიცხოვან გამოსმაურებათა ლაკონტოტივი. დელის უმაღლესი დონის მოლაპარაკების დროს, აღნიშნავენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი, ყოველმხრივ განიხილეს ომისა და მშვიდობის, აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში უშიშროების საკვანძო პრობლემები, საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ურთიერთობის მთელი სპექტრი.

დელი. ინდოეთი, რომელიც მუდამ უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სსრ კავშირთან ურთიერთობას, კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირი ორმხრივი ურთიერთობის შემდგომ განვითარებას მიიჩნევს თავისი საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს მიმართულებად, წერს ყოველკვირეულ „ბლიტცში“ ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ნ. დ. ტივარი. მ. ს. გორბაჩოვის ვიზიტი, აღნიშნავს მინისტრი, ხელს შეუწყობს ორივე ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელთა მჭიდრო ურთიერთობის დამყარების შესანიშნავი ტრადიციის განმტკიცებას. ეს ვიზიტი, ბაზს უსვამს იგი, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საერთაშორისო ასპარეზზე და რეგიონში მიმდინარე დიდმნიშვნელოვანი მოვლენების ფონზე. ეს უწინარეს ყოვლისა, ეხება საბჭოთა კავშირ-ამერიკის რეიკიავიკის შეხვედრას, მიუმხრობელი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების კონფერენციას, „დელის ექვსეულის“ ლიდერების მიერ მშვიდობისმოყვარული ინიციატივების წამოყენებას. უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო პრობლემებზე ორი ქვეყნის ხელმძღვანელთა შორის ყოველმხრივი აზრთა გაზიარება ამ პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. „სსრ კავშირსა და ინდოეთს, — ნათქვამია სტატიაში, — მსგავსი შეხედულებები აქვთ ფართო წრის საკითხებზე, თან შორის ისეთ საკითხებზე, როგორიც არის მირთვული საფრთხისაგან კაცობრიობის ხსნა, კოსმოსური სივრცის მილიტარიზაციის თავიდან აცილება, კონფლიქტური სიტუაციის სამხედრო საშუალებებით კი არა, დიალოგის გზით გადაჭრის აუცილებლობა, მშვიდობისა და თანამშრომლობის კლიმატის შექმნა, სხვადასხვა ხალხის მისწრაფებათა სრული პატივისცემა. „დარწმუნებული ვართ, რომ ვიზიტი გახდება საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ისტორიის მნიშვნელოვანი ნიშანსვეტი, ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარების გზაზე გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი“, — წერს ნ. დ. ტივარი.

გაზეთი „ტელეგრაფი“ აქვეყნებს ცნობილი ინდოელი პუბლიცისტის ნ. ჩაკრავარტის სტატიას, რომელშიც ნათქვამია, რომ „ინდოელ ხალხს საბჭოთა კავშირი მიანნია თავის ერთგულ მეგობრად, რომლის მხარდაჭერასაც შეიძლება დაეყრდნოს ძნელბედობის ჟამს“. „ჩვენს ქვეყანაში მ. ს. გორბაჩოვის ვიზიტი, — აღნიშნულია სტატიაში, — უეჭველია, კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი გახდება პლანეტაზე მშვიდობის განმტკიცების, ხალხთა შორის კეთილი ნების ურთიერთობის დამყარების გზაზე. ეჭვი არ არის, რომ დელის მოლაპარაკება გახდება ორი ქვეყნის მზარდი ურთიერთგაგების ახალი გამოვლინება, ხელს შეუწყობს ყოველმხრივი ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის „გაფართოებას“.

„ორი ქვეყნის ხელმძღვანელთა შეხვედრა პოზიტიურ იმპულსს მიანიჭებს სსრ კავშირისა და ინდოეთის ყოველმხრივი კავშირურთიერთობის შემდგომ განმტკიცება-გაფართოებას, აზიასა და მთელ მსოფლიოში საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფასა და გაძლიერებას“, — წერს გაზეთი „დელი“ (ბომბეი).

ვაშინგტონი. „ინდოეთის მცხოვრებლები გულთბილად მიესალმებიან მ. ს. გორბაჩოვს“ — ამ სათაურით აქვეყნებს „ვაშინგტონ პოსტი“ რეპორტაჟს დელიდან, რომელშიც აღნიშნულია, რომ გულუხვი და შთამბეჭდავი მასპინძლობის ვითარებაში მიმდინარე საბჭოთა ხელმძღვანელის ვიზიტი ცხადყოფს ორ საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მრავალი წლის თანამშრომლობის შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებას. „მ. ს. გორბაჩოვს ინდოეთში ენთუზიაზმით ხვდებიან“, — წერს „ნიუიორკ ტაიმსი“.

ბონი. „საბჭოთა ხელმძღვანელმა, — იტყობინება დასავლეთ გერმანიის ტელევიზია, — კიდევ ერთხელ დაადასტურა სსრ კავშირის მზადყოფნა კვლავაც ითანამშრომლოს ინდოეთთან, ამასთან გითვალისწინოს დროის ახალი მოთხოვნები. საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ახლანდელმა მოლაპარაკებამ იმპულსი უნდა მიანიჭოს ორი ქვეყნის ურთიერთობის შემდგომ განვითარებას“.

სსრ კავშირი და ინდოეთი, წერს „უნზერე ციტი“, მთელ მსოფლიოს უჩვენებენ, რომ შესაძლებელია სხვადასხვა სოციალური სისტემების სახელმწიფოთა გულითადი ურთიერთობა. „გენერალ-ანაიგერი“ და „კელნერ შტადტ ანაიგერი“ ხაზს უსვამენ, რომ დელში გამოსვლისას ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა მკაცრად გააკრიტიკა ამერიკის სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის პროგრამა, რომელმაც ხელი შეუშალა განიარაღების საკითხებზე შეთანხმებათა მიღწევას.

ულან-ბატორი. სსრ კავშირისა და ინდოეთის ურთიერთობას კარგა ხნის ისტორია და მტკიცე ტრადიციები აქვს. იგი ამდიდრებს ორივე ქვეყანას, შეესაბამება მათი ხალხებისა და დედამიწის ყველა ხალხის ინტერესებს, იტყობინება მონღოლეთის რადიო. ეჭვი არ არის, რომ დელში გამართული დიალოგი კიდევ უფრო მეტ დინამიზმს მიანიჭებს საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მრავალფეროვან კავშირურთიერთობას, უფრო მეტად გაზრდის ორი დიდი სახელმწიფოს თანამოქმედების, როგორც მსოფლიო პოლიტიკის ფაქტორის, მშვიდობისა და საყოველთაო უშიშროების ფაქტორის როლს. სსრ კავშირი, სოციალისტური თანამეგობრობის ყველა ქვეყანა იყვნენ და კვლავ არიან იმ ხალხებისა და სახელმწიფოების მხარეზე, რომლებიც იცავენ თავიანთი თვითგამორკვევის, მსოფლიო პოლიტიკაში, მსოფლიოს საქმეებში დამოუკიდებელი, სუვერენული და თანასწორუფლებიანი მონაწილეობის უფლებას. (საკდესი).

29 ნოემბერი პალესტინელ ხალხთან საერთაშორისო სოლიდარობის დღე

მხარს უჭერენ სამართლიან საქმეს

უოველფლიურად 29 ნოემბერს მსოფლიოს საზოგადოებრიობა აღნიშნავს პალესტინელ ხალხთან საერთაშორისო სოლიდარობის დღეს. პლანეტის პროგრესული ძალები ამ დღეს აცხადებენ, რომ მხარს უჭერენ პალესტინელთა სამართლიან საქმეს, მათს ბრძოლას ისრაელის ოკუპაციის წინააღმდეგ, თვითგამორკვევისა და საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უფლების განხორციელებისათვის.

თითქმის 20 წელი გავიდა იმ დღიდან, რაც თელ-ავივმა, რომელმაც აგრესია გაიჩაღა ეგვიპტის, იორდანიისა და სირიის წინააღმდეგ, ხელთ იგდო ვრცელი არაბული ტერიტორიები და დაამყარა იქ საოკუპაციო რეჟიმი. მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე და ღაზის სექტორში მცხოვრებ პალესტინელებს ისრაელის მმართველმა წრეებმა მოუმზადეს იზგოების ხვედრი, რომლებსაც სამუდამოდ უნდა დაეტოვებინათ მშობლიური მიწა-წყალი. ისრაელის ტერორისაგან თავის ხსნის მიზნით მრავალი პალესტინელი იძულებული გახდა გამგზავრებულიყო მეზობელ არაბულ ქვეყნებში. ოკუპირებულ ტერიტორიებზე დარჩენილთა ცხოვრება გადარჩენისათვის ყოველდღიურ ბრძოლად იქცა.

ამას დამაჯერებლად მოწმობს ამჟამად მიმდინარე მოვლენები იერუსალიმში, რომელიც სიონისტებმა გამოაცხადეს ისრაელის „მარადიულ და განუყოფელ დედაქალაქად“. ათ დღეზე მეტია ებმ ქალაქში თარეშობენ ტროფაშისტური ორგანიზაციების „კახისა“ და „გუშ ემუნიმის“ მებრძოლები. ისინი იჭრებიან ქალაქის არაბულ ნაწილში, რომელიც 1967 წელს დაიპყრეს, თავს ესხმიან უიარაღო პალესტინელებს, სცემენ ქალებსა და ბავშვებს. ტერორის თარეშს ხელს უწყობს ოფიციალური თელ-ავივი. როგორც ახლახან გახდა ცნობილი, ექსტრემისტთა „ოპერაციებს“ აკორდინირებენ თვით ისრაელის პრემიერ-მინისტრი შამირი.

ბოლო მოეღოს ოკუპანტთა დანაშაულს, განთავისუფლდეს ყველა დაპყრობილი არაბული მიწა-წყალი! — მოითხოვენ გაერთიანეული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ამ დღეებში ნიუ-იორკში მიმდინარე სესიის დელეგატები, სადაც დაიწყო ახლო აღმოსავლეთის ვითარების განხილვა.

◆ ლიბანი

შემომშავმს შეთანხმების პროექტი

ბეირუთი. *როგორც ლიბანის რადიოსადგურები იუწყებიან, ქვეყნის პატრიოტულმა ძალებმა შეიმუშავეს „ამალის“ მოძრაობასა და პალესტინის ეროვნული ხსნის ფრონტს შორის შეთანხმების პროექტი.*

იგი ითვალისწინებს საბრძოლო მოქმედების შეწყვეტას შიიტური მოძრაობის მებრძოლებსა და პალესტინელებს შორის. დამასკოში გამართული კონტაქტების შედეგად მხარეები პრინციპში დათანხმდნენ ამ პროექტს. ამავე დროს ვითარება ადგილებზე კვლავ დაძაბულია. დღევანდლამდე გრძელდება ბრძოლები საიდისა და დასავლეთ ბეირუთის პალესტინელთა ბანაკების რაიონებში.

◆ ირანი-იტალია

გაიწვიეს ელჩი

ნიკოზია. *როგორც ირანს საინფორმაციო საგენტო იუწყება, ირანმა მიიღო გადწყვეტილება გაიწვიოს თავისი ელჩი იტალიიდან და დახუროს იტალიის კულტურის ცენტრი თეირანში.*

საგენტო აღნიშნავს, რომ ირანმა ეს ნაბიჯი გადადგა ირანის ხელმძღვანელობის მისამართით იმ შეურაცხმყოფელი გამოხდომების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომლებსაც ეშეიცავდა იტალიის ტელევიზიის ერთ-ერთი ამასწინანდელი გადაცემა.

კულტურული კონტაქტები

▲▲

ეცნობიან ქართულ ხელოვნებას

ალჟირი. *ალჟირის დედაქალაქში გაიხსნა საქართველოს გამოყენებითი და დეკორატიული ხელოვნების გამოფენა.*

180 ექსპონატი დამთვალიერებლებს აცნობს ქართველ მხატვართა და ხალხურ ხელმარჯვეთა ოსტატობას. დიდ ინტერესს იწვევს ხის ჩუქურთმა, ლითონის ჭედურობა, კერამიკა, მეთუნეობის ნაკეთობანი, ხალიჩები, ხალხური ტანსაცმლის ნიმუშები და საყოფაცხოვრებო საგნები.

გამოფენის დამთვალიერებლები აღნიშნავენ, რომ ექსპოზიცია დამაჯერებლად მოწმობს, რა ყურადღება ეთმობა საბჭოთა კავშირში ეროვნული ტრადიციების შენარჩუნება-განვითარებას, გამოხატავს კულტურული მემკვიდრეობის განვითარებაში ქართველ ოსტატთა მიღწევებს. ვერნისაჟზე ალჟირის ხელმძღვანელობის წარმომადგენლებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ამგვარი შემოქმედებითი შეხვედრები ხელს უწყობს ორი ქვეყნის ხალხთა ურთიერთობის განმტკიცებას.

გამოფენის გახსნას დაესწრნენ ხალხებთან მეგობრობისა და სოლიდარობის ალჟირის საბჭოს გენერალური მდივანი კ. ბელკასემი, ალჟირის საზოგადოებრიობისა და შემოქმედებითი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

პრესა ადასტურებს

ავბედითი „ურთიერთგაგება“

ლონდონი. კოსმოსური ხომალდი „ჰოტოლი“, რომელიც ინგლისში მუშავდება, გათვალისწინებულია არა იმდენად დედამიწის ირგვლივი სივრცის მშვიდობიანი ათვისებისათვის, როგორც წინათ ამტკიცებდნენ, არამედ კოსმოსის მილიტარიზაციის ამერიკულ გეგმებში შეერთებული შტატების დასავლეთევროპელი მოკავშირეების აქტიური მონაწილეობისათვის.

ადრე გამოცხადებული გეგმების თანახმად, მრავალჯერადი გამოყენების ეს კოსმოსური ხომალდი, რომელიც დასახულია შეიქმნას 2000 წლისათვის, განკუთვნილია სატრანსპორტო ტვირთზიდვისა და მგზავრთა გადაყვანისათვის, აგრეთვე დედამიწის ირგვლივ ორბიტაზე კომერციული თანამგზავრების გაყვანისათვის. მაგრამ, როგორც გავლენიანი გაზეთი „ტაიმსი“ იუწყება, ამ ბოლო დროს დასავლეთ ევროპის ქვეყნების „სამხედრო სტრატეგები მზარდ ინტერესს იჩენენ იმისადმი, რომ „ჰოტოლი“ გამოიყენონ პლატფორმად მასში ზეიარაღის ახალი თაობის განლაგებისათვის“.

კოსმოსური ხომალდის სამხედრო გამოყენების გეგმები

ინგლისისა და ნატოს წევრი სხვა ქვეყნების თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებისათვის უაღრესად საიდუმლოდ გამართული ბრიფინგების სერიის შემდეგ ექსპერტებს მიაჩნიათ, აღნიშნავს გაზეთი, რომ კოსმოპლანი გახდება კოსმოსში დამკვრელი შეიარაღების გაყვანის პრაქტიკულად უვნებელი საშუალება. მაგალითად, ხომალდის სატვირთო ნაკვეთურში, რომელიც 7 ტონა სასარგებლო დატვირთვისათვის არის გაანგარიშებული, შეიძლება „თავად“ ნა

„კომუნისტი“
საკვლევი
საქინფორმი

ახალი ამბები

◆ **ძველ** თბილისში გასეირნების სამუალება მიეცათ მოსკოვის ცენტრში გახსნილი თენგიზ მახარაშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენის დამთვალიერებლებს. ქალაქის პიონერიასადმი ახალგაზრდა ავტორის ინტერესი პროფესიულია. იგი სპეციალობით არქიტექტორია. მაგრამ არქიტექტორის ცენტრალურ სახლში გამართული ექსპოზიციის შემადგენლობაში მარტო მისი საკონკურსო პროექტებიანი პლანშეტები, ფოტოშენარჩევები როდი არის შეტანილი, განხორციელებულ ჩანაფიქრებს რომ ასახავენ. სამოც ნამუშევარს შორისაა ფერწერა, ჭიდური პანოები „მუზა“, „ხარები“, მინიატიურები, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურული დაპროექტების კათედრის დოცენტი თ. მახარაშვილი სპეციალისტთა წრისათვის ცნობილია როგორც მთის პირობებში მშენებლობის პრობლემებისადმი მიძღვნილი მთელი რიგი წიგნების ავტორი. ამ თემას მიეძღვნა აგრეთვე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კურსდამთავრებულის სამეცნიერო ნაშუშევარიც.

უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ თენგიზი მონაწილეობდა ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ოტოლარინგოლოგიური კლინიკის დაპროექტებაში, რუზი დაღუპულ მებრძოლთა ძეგლის შექმნაში, იგი აფხაზეთის დედაქალაქის ტურისტული კომპლექსის „სოხუმის“ ავტორია. დროთა განმავლობაში იგი აღმოსავლეურმა, კერძოდ ქართულმა მინიატიურამ გაიტაცა.

ხელისგულზე ოდნავ დიდ კერამიკულ ფილებზე დახვეწილად არის ასახული ფოლკლორული, ისტორიული სიუჟეტები. გამოხმაურებათა წიგნში აღნიშნულია, რომ ექსპოზიციის სწორედ ეს ნაწილი სარგებლობდა განსაკუთრებული პოპულარობით.

◆ **შესანიშნავი** ორსართულიანი ნაგებობა გამორჩენა ახლახან ოჩამჩირის № 1 ჩაის ფაბრიკის მიმდებარე ტერიტორიაზე. ნათელ და კოპწია ნაგებობაში ახალმოსახლეობა იზეიმა 90 ბავშვმა.

ბაღის ვრცელ ეზოში „ცოცხალი კუთხეებია“ მოწყობილი, მინიატიურულ ზოოპარკში კი ჩიტებუნად გრძნობენ თავს შვლები და ფრინველები.

◆ **საქართველოს** საზღვაო სანაოსნოს ხომალდთა უმრავლესობა წარმატებით ასრულებს როგორც საკაბოტაჟო, ისე უცხოეთში ცურვის გეგმებს. მრავალთაგან ერთ-ერთი, ვინც თავი გამოიჩინა ზღვაოსნობით, მადანმზიდ „ფილიპე მანარაძის“ ეკიპაჟია. მეზღვაურებმა განვლილ პერიოდში 628 საათი დაზოგეს, რაც საუკეთესო მაჩვენებელია. ეკიპაჟმა უკვე 132 ტონა სათბობი და სამი ტონა საპოხი დაზოგა; გეგმის გადამეტებით გადაზიდულია 700 ტონაზე მეტი სახალხო-სამეურნეო საქონელი.

ბოვლენის ადგილიდან

სხვისი შვილები არ არსებობენ

ეს დიდი დღესასწაული იყო. აქ, კურორტ წყნეთის უთვალწარმტაცეს კუთხეში, ახლახან იზეიმა ახალმოსახლეობა ბავშვთა სახლმა. სწორედ იმან, რომელიც აქამდე განლაგებული იყო კურორტ კოჯრის ძველ სახლში და საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში შეიქმნა.

სახლს საინტერესო ისტორია აქვს. მრავალი წლის წინათ გაზეთმა „ვეჩერნი ტბილისი“ გამოაქვეყნა იმჟამინდელი ფოტო: ს. მ. კიროვი და გ. კ. ორჯონიკიძე ყმაწვილებს შორის. რედაქციამ ოთხოვნით მიმართა მკითხველებს, ეცნობებინათ, რა იცოან ამ ფოტოსურათის თაობაზე. ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა ვლადიმერ პეტრეს ძე პოლიშჩუკი, ძველი ბოლშევიკისა და ჟურნალისტის პეტრე პოლიშჩუკის შვილი. წერილის ავტორი მშენებელი ინჟინერი, ომის ვეტერანი, საქართველოდან გაგზავნილი იმ სახელგანთქმული ჯავშანმატარებლის კომისარია, რომელიც 1941 წელს მოსკოვს იცავდა.

ვლადიმერ პოლიშჩუკმა რედაქციას აცნობა, რომ კიროვი და ორჯონიკიძე გადაღებული არიან კოჯრის ბავშვთა სახლის, როგორც მაშინ უწოდებდნენ „ქუჩის შვილების სახლის“ აღსაზრდელთა ჯგუფთან ერთად. ფოტოსურათიდან შემოგვცქერიან ჩამომდნარი, ღონემიხდილი ბავშვები. ისინი შეიფარა საქართველომ. ეს ყმაწვილები ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან, ძირითადად დამშეული ვოლგისპირეთიდან ჩამოვიდნენ. იმ დროს სახლის გამგედ მუშაობდა ზინაიდა გაბრიელის ასული — სერგო ორჯონიკიძის მეგობარი და მეუღლე.

— დიასახლისი კი მაშინ იყო დედაჩემი, იულია ვლადიმერის ასული, — წერდა ვლადიმერ პოლიშჩუკი. — იგი ყმაწვილებს საცვლებსა და ტანსაცმელს უკერებდა.

სწორედ ამ ბავშვთა სახლმა იზეიმა დღეს ახალმოსახლეობა... ჩვენ გავიცანით სამი-ოთხი წლის პატარები. სახლში ჯერჯერობით 56 ასეთი ახალმოსახლეა. მაგრამ დანარჩენი შენობების რემონტის დამთავრების შემდეგ აქ ასზე მეტი ბავშვი ეყოლებათ. ვაი რომ, თითოეული მათგანის ბიოგრაფია სიხარულით არ დაწყებულა. ყველანი სხვადასხვა მიზეზით უმშობლოდ დარჩნენ...

ოთახში ფეხი შევდგით თუ არა, ყველამ თავი ანება სათამაშოებს, ბავშვები მოგვცვივდნენ, გარს შემოგვეხვივნენ და ხელზე აყვანას ითხოვდნენ... მხოლოდ ერთმა პატარა გოგონამ ეკამ არ მოგვაქცია ყურადღება, კვლავ არწევდა თოჯინას. საცვლებს უცვლიდა, კოცნიდა, საალერსო სიტყვებს ეჩურჩულებოდა... ჩვენ ვკითხეთ, რა ჰქვია თოჯინას.

— ეკა... — ჩურჩულით გვიპასუხა.

— ეს ხომ შენი სახელია?

— არა. მე დედა ვარ.

...აი ველოსიპედს დაეჯახა მიმოკო. აღრიალდა და თავის აღმზრდელ ნუნუს მიაშურა. იმან აკოცა ნატკენ ადგილას — ტკივილი მაშინვე გაუქრა. ცრემლები მოიწმინდა, სახე გაებადრა ბიჭუნას. ვინ იცის, იქნებ, მოეჩვენა, „ნამდვილმა“ დედამ მომიალერესაო:

— ეს ასეა, ზოგჯერ ეშმაკობენ ხოლმე, — გვითხრეს აღმზრდელებმა, — ტყუილად იწყებენ სლუკუნს და ტირილს, რომ მოვეფეროთ. ეს გასაგებია. ალერსს, სიკეთესა და სითბოს არიან დანატრებული!

ბავშვების განკარგულებაშია დასვენების ვრცელი ზონა და საგაზაფხო კოტეჯები. შესასვლელთან კიდია ფირფიტა: ბავშვთა სახლს შეფობს საქართველოს საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო. მუშებმა და ინჟინრებმა მოკლე დროში გადააკეთეს შენობები, შექმნეს მყუდრო საძინებელი, სასადილო, სათამაშო ოთახები.

აქ მოვიდნენ სტუდენტები — სამხატვრო აკადემიასთან შექმნილი მულტიპლიკაციური კინოსტუდიის მსმენელები. მალე ბავშვები ზღაპრების საყვარელი გმირების სამყაროში აღმოჩნდნენ. ისინი ოთახების კედლებიან შეჰყურებდნენ ბალლებს. ეზოში გაჩნდა ახალგაზრდა მოქანდაკეების, კერამიკოსების ნამუშევრები, მოქმედებს სხვადასხვაგვარი ატრაქციონები.

ბავშვების სასურველი სტუმრები გახდნენ თბილისის მეორე სამედიცინო სასწავლებლის მოსწავლეები. ისინი მხურვალედ გამომბაურნენ რესპუბლიკის კომკავშირული გაზეთის „ახალგაზრდა კომუნისტის“ მოწოდებას — დახმარებოდნენ ბავშვთა სახლს. სტუდენტებმა შექმნეს რამდენიმე ბრიგადა, თითოეულში რვა კაცი გაერთიანდა. ისინი ყოველდღე დადიან „თავიანთ“ ბავშვებთან, და პატარებიც „თავის“ ელდებს სიხარულით და გულთბილად ეგებებიან.

— მართალია, ყველაზე უფროსი ვარ ჩემს აღსაზრდელთა შორის, მაგრამ სამაგიეროდ ყველაზე უმცროსი ვარ კოლექტივში, — ღიმილით გვეუბნება სახლის დირექტორი თამარ ფარჩიძე, წარსულში კომკავშირული ბიუროს მდივანი. ამჟამად ბალის ეკონომისტი. „ბავშვებს ყველანაირ ყურადღებას ვაქცევ, ასწავლიან ბალღებს მეცნარეების მოვლა-პატრონობას. ის კი არა და, „უნდათ ბავშვთა შორის კონკურსიც გამოაცხადონ ყვავილებისა და ბალახების საუკეთესო მცოდნის გამოსავლენად. აქ იქნება საცურაო აუზი, სპორტული მოედანი.

შესაცქერი პატარებს, რომლებიც გარშემო მნიარულობენ, და ფიქრობ: სწორად ამბობენ საქართველოში — სხვისი შვილები კარ არსებობენ, ისინი ყველანი ჩვენია.

გ. ლებანიძე,
(„პრავდის“ კორ.).
„პრავდა“, 1986 წ. 28-XI.

ილეაენ ფილმს





კინოსტუდია „მოსფილმის“ შემოქმედებითი ჯგუფი დანიელ გრანინის ცნობილი რომანის „მივდივარ ბეჭა-ქუხილზე“ მიხედვით აფხაზეთში ილებს ოთხსერიიანი სატელევიზიო ფილმის ეპიზოდებს.

დამდგმელი რეჟისორი ბულატ მამსუროვი, **დამდგმელი ოპერატორი** ნიკოლოზ ვასილკოვი ილებენ კადრებს, **რომლებიც** მოგვითხრობენ ფილმის გმირების მეცნიერულ ძიებაზე. **როლებს** ასრულებენ სსრ კავშირის **სახალხო** არტისტი პავლე კადოჩნიკოვი, **ახალგაზრდა** მსახიობი იგორ ვოლკოვი, **რომლებიც** ტელემაყურებელთა ფართო წრისათვის ცნობილია სერიალით „მიხაილო ლომონოსოვი“, **რუსეთის** სფსრ **სახალხო** არტისტი ლეონიდ კურავლოვი, **რუსეთის** სფსრ **დამსახურებული** არტისტი ლევ პრიგუნოვი **და** სხვები.

სურათებზე: მთავარი გმირის, მეცნიერი ფიზიკოსის სერგი კრილოვის **როლში** — **მსახიობი** იგორ ვოლკოვი; ეპიზოდში, **რომელიც** ეხება ისტორიას, მაყურებელი ნახავს **1902 წლის** ხეტყვის ხაწინააღმდეგო **მორტირებს**; ლეონიდ **კურავლოვი** ფილმში ასრულებს **უარყოფითი** პერსონაჟის — აგაპოვის **როლს.**

ვ. სოკოლოვის ფოტო. (**საქინფორმის** ფოტოქრონიკა).

გზა სიყვარულია...

ბაქოს ვიტუშინსკის კერძო აფთიაქში შრომითი საქმიანობა რომ დაიწყო, მას შემდეგ ვვიდ ათეულ წელზე მეტი გავიდა. ტრიფონ გამსახურდია, გორის ცენტრალური აფთიაქის პროვიზორ-ტექნოლოგი, გორსა და გორის რაიონში საყოველთაო სიყვარულით სარგებლობს. ეს ამაგდარი კაცი დღესაც ახალგაზრდობის გულითადი დამრიგებელი და სამაგალითო პიროვნებაა.

და აი, ამ დღეებში გ. ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრში გორელებმა თავიანთ ღირსეულ თანამოქალაქეს დაბადების 90 და შრომითი საქმიანობის 70 წლისთავის იუბილე გადაუხადეს.

იუბილარს გულთბილად მიესალმნენ და ხალხის სამსახურში კვლავაც მხნედ ყოფნა უსურვეს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს საფთიაქო სამმართველოს, რესპუბლიკის ექიმთა საზოგადოების, ქალაქისა და რაიონის შრომითი კოლექტივების წარგზავნილებმა, მეგობრებმა და კოლეგებმა.

და ბოლოს, იუბილარს საზეიმო ვითარებაში გადაეცა ქ. გორის საპატიო მოქალაქის დიპლომი და მედალი.

გ. ვაშაკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ქურნალისტიკის გაკვეთილები

„გარდაქმნის ლენინური გაკვეთილები“ — ამ თემას მიეძღვნა საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთების რედაქტორთა მორიგი რესპუბლიკური სემინარი, რომელიც 24 ნოემბერს გაიხსნა ბიჭვინთის შემოქმედებითს სახლში.

სემინარის მონაწილენი შეხვდნენ რესპუბლიკისა და ქვეყნის პასუხისმგებელ პარტიულ, კომკავშირულ, სამეურნეო მუშაკებს, ეკონომიკის, ისტორიის, ფილოსოფიის, სოციოლოგიის დარგის მეცნიერებს, თვალსაჩინო ჟურნალისტებს. განიხილეს სახალხო მეურნეობის გარდაქმნაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა როლის გადიდებასთან დაკავშირებული საკითხები. გარდაქმნა, როგორც ცნობილია, მარტო მატერიალური წარმოების დარგში როდი მიმდინარეობს. არანაკლებად მოიცავს იგი სულიერ სფეროსაც. ორატორები შეეხნენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის საკითხებს.

30 ნოემბერს შემოქმედებითს სახლში იწყება ახალგაზრდა ჟურნალისტთა რესპუბლიკური სემინარი. განიხილავენ თანამედროვე პარტიის პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის, ჩვენი სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის პროპაგანდის საქმეში პრესის, რადიოს, ტელევიზიის ამოცანებს, აგრეთვე ახალგაზრდა თაობის აღზრდაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა როლს.

სემინარი 5 დეკემბრამდე გასტანს. (საქინფორმი).

როცა სიუხვე ვერ განსაზღვრეს

მახარაძელ „მეცატრუსეებს“ არც ნარინჯოვანთა მოვლა-პატრონობა ეზარებათ და არც მოკრეფა. ისინი ყოველწლიურად ციტრუსების უხვ მოსავალს იწვენენ. წელსაც ჩინებულად დაამუშავეს ბაღები და 18.000 ტონის ნაცვლად 28.000 ტონა ლიმონის, ფორთოხლის, მანდარინის დამზადებას ვარაუდობენ. მოწონავე საზოგადოებრივ მეურნეობებში ორგანიზებულად დაიწყეს ციტრუსების კრეფა და მაღალ საწარმოო მაჩვენებლებსაც აღწევენ. როგორ არ ვამეთ დაბა ურეკის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელები, რომლებმაც წლიური გეგმით გათვალისწინებული 600 ტონის ნაცვლად 700 ტონა ნაყოფის ჩაბარება ვადაზე ადრე უპატაკეს სამშობლოს, ურეკელებმა დამატებით იკისრეს 600 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადება.

რაიონის ბევრ საზოგადოებრივ მეურნეობაში საგეგმოსთან შედარებით ორჯერ მეტი მოსავლის მიღებას ვარაუდობენ. სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მეციტრუსეები ექვსი ათას ტონა ციტრუსს დაამზადებენ, წლიური დავალება კი 3.678 ტონას ითვალისწინებს. ჯერჯერობით 1.800 ტონაზე მეტია დამზადებული.

ციტრუსებს შეუფერხებლად კრეფენ სოფლების ნატანების, მერიის, კონჭკათის, თხინვალისა და სხვა კოლმეურნეობებში.

კრეფის ტემპიც მატულობს. ყოველდღიურად რაიონში საშუალოდ 800-1000 ტონა ციტრუსი ბარდება შესაფუთ ქარხნებს. ეს რეკორდული ციფრია. რეკორდი რეკორდია, მაგრამ ახლა ციტრუსოვანთა დამზადებაში სერიოზული შეფერხებებია. პავილიონების სასაწყობო სათავსები გაჭედა ნაყოფით სავსე ყუთებით. მერიის, ნატანების, თხინვალისა და რაიონის თითქმის ყველა შესაფუთ ქარხანაში. ციტრუსების კრეფადამზადებისა და გადამუშავებისათვის რაიონში საჭიროა სულ ცოტა 300 ათასი ცალი ყუთის შემოზიდვა, მაგრამ საიდან, — ეს არავინ უწყის! სამართლე რომ ვთქვათ, საამაო ოდენობის ყუთების თავის დროზე მომარაგებისათვის უნდა ეზრუნათ რესპუბლიკის დამზადების გაერთიანების მესვეურებსაც. ახლა კი ისინი თავს იმართლებენ, მახარაძის რაიონში ციტრუსოვანთა უხვ მოსავალს არ ველოდითო! გახა ძნელი იყო კრეფის წინ ბაღების დათვალიერება? ხომ გაარკვევდნენ, რამდენი ყუთი სჭირდებოდათ? ახლა ნაყოფს ვერ კრეფენ გაბედულად — ვაითუ, ყუთები ვერ ვიშოვეთ და მანდარინი დაგვილესპენ...

კაცმა რომ თქვას, თავს ვერც რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების მუშაკები იმართლებენ, მოსალოდნელი მოსავალი თავის დროზე უნდა განესაზღვრათ და ყველაფერი ეღონათ ციტრუსოვანთა მიღება-გადამუშავებისათვის საჭირო ღონისძიებათა განსახორციელებლად.

ამჟამად ციტრუსების მიღება-გადამუშავების საქმეს ორი უწყება გაგებს: - საზოგადოებრივი მეურნეობებიდან მიღებულ მოსავალს აგროსამრეწველო გაერთიანება პატრონობს, ხოლო მოსახლეობის მიერ პირად მეურნეობაში მოწეულ ციტრუსს — რაიკოოპკავშირის დამზადების გაერთიანება. საზოგადოებრივ სექტორში 7.800 ტონა უნდა დამზადდეს, მაგრამ დამზადებულია 3.398 ტონა, მოსახლეობის პლანტაციებიდან სახელმწიფოს ჩაბარდება 20.200 ტონა ნაყოფი. დღემდე ჩაბარებული აქვთ 8.769 ტონა. როგორც ჩანს, მეტად სერიოზული ამოცანების წინაშე დგანან არა მარტო მეციტრუსეები, არამედ დამამზადებელი, და დამამუშავებელი და გამსაღებელი ორგანიზაციები.

რადაც უნდა დაგვიჯდეს, მდგომარეობა დაუყოვნებელად უნდა გამოსწორდეს, თორემ ათასობით ტონა ნაყოფი დალპება, ბაღები დაუმუშავებელი დაგვრჩება.

ბ. ჩხაიძე.
„კომუნისტის“ საკ. კორ.

მანდარინი არის,
უყუთოგოდ ვერ
კრეფენ, პავილიონები
გაჭედილია

ყაბახი

ვიქტორ გოგლიძის მემორიალი

მემორიალზე იწყება ფინიში. ყველა საკითხი ჯერჯერობით გადაუჭრელია: ვინ მოიპოვებს პირველ პრიზს, ვინ შეასრულებს დიდოსტატის ბალის ნორმას და ა. შ. ყოველივე ეს დასკვნის ტურებს დიდ ინტერესს ანიჭებს.

გადადებული პარტიების დამთავრებასას ასვია შედეგები აღინიშნა: უბილავამ მოუგო ზაიჩიკს და კაროლის ყაიმზე შეუთანხმდა. სამი პარტია ჭრნნდა დასამთავრებელი ცვიტანს. მან მოუგო ფოიშორს, ყაიმზე შეუთანხმდა რომანიშინსა და მაკდონალდს. კანცლერ-ფოიშორის პარტია ყაიმით დამთავრდა. ამრიგად დასრულდა ყველა გადადებული პარტია, მაგრამ მონაწილეთა მდგომარეობა მაინც საკმაოდ ბუნდოვანია. ზოგს 9 პარტია აქვს ნათამაშევი, ზოგს კი 8.

ახლა 8 პარტიიდან 6,5 ქულით პირველ ადგილზეა ტალი. მაგრამ, მისი როგორც ლიდერის მდგომარეობა, მაინცდამაინც მტკიცე არ არის. მას სულ ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩენიან აზმაიფარაშვილი, რომანიშინი და კანცლერი, რომელთაც ასევე 8-8 პარტია ითამაშეს. ქართველმა მოჭადრაკემ დარჩენილ 6 პარტიაში დიდოსტატის პირველი ბალის ნორმის შესასრულებლად კიდევ 3,5 ქულა უნდა დაგროვოს, კანცლერმა — საერთაშორისო ოსტატის მეორე ბალის დასაგროვებლად კი ერთი ქულა. 8 შესაძლებლიდან 5,5 ქულა დაგროვა მალანიუკმა, ამდენივე პარტიიდან 5 ქულა აქვს უბილავას. მას დარჩენილი 6 პარტიიდან დიდოსტატის მეორე ბალის დასაგროვებლად კიდევ 4,5 ქულა სჭირდება, რაც, ცხადია, რთული ამოცანაა. საინტერესოა, რომ ყველა ეს ექვსი მონაწილე, ისევე როგორც მერვე ადგილზე 4,5 ქულით მყოფი ცვიტანი, დაუმარცხებლად იბრძვიან, რაც ფრიად იშვიათი შემთხვევაა. კიდევანოვი 9 პარტიიდან 5 ქულით მეშვიდე ადგილზეა.

გ. გამრეკელი.

სატურნირო ორბიტა

ბადრაკი. არაბეთის გაერთიანებული საემიროების ქალაქ დუბაიში მიმდინარე მსოფლიო ოლიმპიადებზე გათამაშდა მეთერთმეტე ტურის მატჩები. სსრ კავშირის ქალთა ნაკრებმა ამ ტურში ზედიზედ მეთერთმეტე გამარჯვება მოიპოვა: ამჯერად საბერძნეთის ნაკრებთან — 3:0. ჩვენს ქალებს ახლა 26,5 ქულა აქვთ (33 შესაძლებლიდან) და კვლავ ერთპიროვნულად ლიდერობენ. მომდევნო ადგილებზე არიან უნგრეთის (22 ქულა), ჩინეთის, პოლონეთის და რუმინეთის გუნდები (21,5-21,5). სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრებმა მეთერთმეტე ტურში და ამარცხა ბულგარეთის გუნდი ანგარიშით 2,5:1,5. ვაჟთა შორის დაწინაურებული არიან აშშ-ს და ინგლისის მოჭადრაკენი — შესაბამისად 31 და 30,5 ქულა. საბჭოთა ნაკრები 29,5 ქულით ესამე ადგილზეა. სამი ტურიც და, ეს ტურნირები დასრულდება. ოლიმპიადებში მონაწილე საბჭოთა მოჭადრაკეების ინდივიდუალური შედეგებს ამჯერად 10 ტურის მიხედვით გთავაზობთ: **ქალთა ნაკრები.** მ. ჩიბურდანიძე 5 ქულა დააგროვა (6 შეხვედრიდან), ე. ახმილოვსკაიამ — 5 (7-დან), ნ. გაფრინდაშვილმა — 8 (8-დან!), ნ. ალექსანდრიამ — 4,5 (7-დან); **ვაჟთა ნაკრები.** გ. კასპაროვმა — 5,5 (8-დან), ა. კარპოვმა — 3,5 (6-დან), ა. სოკოლოვმა — 5,5 (8-დან), ა. იოსუპოვმა — 6,5 (8-დან), რ. ბაბანიანმა — 3,5 (6-დან), ვ. ციშკოვსკიმ — 2,5 (4-დან).

ალპინიზმი. გაიმართა ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩები. გთავაზობთ შედეგებს: **ლენინგორადი.** კიევის ასკ-თბილისის „დინამო“ — 85:83 (36:42), ლენინგრადის „სპარტაკი“-მოსკოვის „დინამო“ — 94:87 (45:47); **მინსკი.** კაუნასის „ჟალგირისი“-მინსკის რტი — 91:77 (49:39), დონეცკის „შახტიორი“-კიევის „სტროიტელი“ — 73:71 (42:38); **ალმა-ათა.** ცსკა-რიგის ვეფი — 116:114 (54:53), ალმა-ათის ასკ-ვილნიუსის „სტატბა“ — 99:90 (46:48).

მუვილდისნეგა. დუშანბეში გრძელდება სსრ კავშირის თასის გათამაშება. ამ შეჯიბრებაზე ევროპის ჩემპიონმა ლუდმილა არეანიკოვამ მრავალჯიდში მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 1331 ქულა. აღსანიშნავია, რომ მან მსოფლიო მიღწევა 6 ქულით გაუუჯობესა. შეჯიბრება გრძელდება.

რედაქტორი
ბ. ბედინეიშვილი.

ორშაბათი, 1 დეკემბერი

პირველი პროგრამა. 16.20 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.30 — მოსწავლეთათვის. რუსული ენა. 17.00 — საქართველოს ისტორია. 17.40 — განცხადებები. 17.45 — ქართული მულტიპლიკაციური კინო-50. ნახატი ფილმები „ახლა გამოფრინდება ჩიტი“ და „ეშმაკის ოინები“. 18.10 — მოსწავლეთათვის. „ვისაუბროთ ეკონომიკაზე“. 18.35 — დიადი ოქტომბრის საიუბილეოდ. „ლენინგრადელ კომპოზიტორთა მუსიკა“, ი. როგოლევის ოპერა „საჩივრის წიგნი“ (ლენინგრადის ტელევიზიის გადაცემა). 19.10 — დიალოგი პოლიტიკურ თემაზე. 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — მოამბე. 20.35 — თ. უაილდერი. „ჩემი პატარა ქალაქი“. თბილისის კინოსახიობის თეატრის სპექტაკლი. I მოქმედება. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — თ. უაილდერი — „ჩემი პატარა ქალაქი“. II და III მოქმედება.

მეორე პროგრამა. 16.35 — მხატვრული ფილმი „დღისითმზისი“. 18.05 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „დროის მხარდამხარ“. 18.35 — განცხადებები. 18.40 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „15 წლის შემდეგ“.

სამშაბათი, 2 დეკემბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.20 — საბჭოური ცხოვრების წესი. დოკუმენტური ფილმი „შახტი“. 10.40 — საბავშვო იუმორისტული კინოჟურნალი „ერალაში“. 10.50 — დიალოგი პოლიტიკურ თემაზე (განმეორებით). 11.25 — ქართული მხატვრული ფილმი „ჩრდილი გზაზე“. 13.00 — ქართული ენის ტელეკურსი. 13.30 — საინფორმაციო გამოშვება. 13.45 — აბიტურიენტთათვის. ქიმია. 14.15 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „პატარძალი ჩრდილოეთიდან“. 15.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „შემობრუნება“. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — შევისწავლოთ ინგლისური ენა. 16.55 — კინოჟურნალი „მეენერგა და ტექნიკა“. 17.05 — ხალხური შემოქმედება. კონცერტი. 17.40 — რეკლამა. 17.50 — თვალსაჩინო აგიტაცია. თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე. 18.10 — „ხომლი“. სატელევიზიო ლიტერატურული ჟურნალი. 19.15 — პარტიული ცხოვრება. „თითოეულისა და ყველას საქმე“. 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — მოამბე. 20.35 — თეატრალური აფიშა. 20.55 — „ჩვენი გუნდი“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — ჩვენი საუკუნე გიცავს უახლესი. 22.45 — პირველად ჩვენს ეკრანზე. მხატვრული ფილმი „დემიდოვები“. პირველი სერია.

მეორე პროგრამა. 16.35 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „უცნობი საოცარი სამყარო“. 17.05 — მოსწავლეთათვის. საზოგადოებათმცოდნეობა. 17.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩემი სახლი სოფელშია“. 18.10 — მასწავლებლის საათი. ქართული ლიტერატურა.

ცისფერ ეკრანზე

საქართველოს ტელევიზიის ერთი ქვირის პროგრამა

ოთხშაბათი, 3 დეკემბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.20 — სატელევიზიო ფილმ-სპექტაკლი. „ანათებს და არ ათბობს“. პირველი ნაწილი. 11.30 — „მუსიკის სამყაროში“. სატელევიზიო ჟურნალი (განმეორებით). 12.30 — მოსწავლეთათვის. საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები. 13.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „დღეს მუსიკის გარეშე“. 13.30 — მათემატიკის ტელეკურსი. 14.00 — საინფორმაციო გამოშვება. 14.15 — სატელევიზიო სპექტაკლი „დაგვიანებული ყვავილ ებ ი“. 16.00 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.10 — შევისწავლოთ გერმანული ენა. 16.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბალების პოეზია“. 17.20 — ქართული მულტიპლიკაციური კინო-50. ნახატი ფილმი „ტყის კვარტეტი“. 17.35 — „პოეზია“. მაყვალა მრევლიშვილი (განმეორებით). 18.00 — სატელევიზიო პროგრამა „ახალგაზრდობა“. 19.05 — კინოსარკეული. 19.25 — ოთამბე. 20.00 — საბჭოთა მიღება. ბრძოლა ხარისხისათვის (მ.). 21.00 — კონცერტი. 21.35 — ჩვენი პრემიერა — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ყველაფერს ქალაქი პატრონობს“ (საქართველოს სატელევიზიო ფილმების ნაწარმოები). 22.00 — „ვრემია“. 22.40 — პირველად ჩვენს ეკრანზე. მხატვრული ფილმი „ბეჭედი“. მეორე სერია.

მეორე პროგრამა. 16.35 — მხატვრული ფილმი „მეზობლად ვცხოვრობდით“. 17.50 — განცხადებები. 17.55 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „წითელი მხატვარი“. 18.05 — მოსწავლეთათვის. მათემატიკა.

ხუთშაბათი, 4 დეკემბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.10 — ჩვენს დიად სამშობლოში. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „კუბიშევი“. 11.00 — დოკუმენტური ფილმი „ნავსადგური“. 11.10 — სატელევიზიო ფილმ-სპექტაკლი „ანათებს და არ ათბობს“. მეორე ნაწილი. 12.15 — საესტრადო პანორამა (განმეორებით). 13.00 — ამბიტიენტებისათვის. ბიოლოგია. 13.30 — საინფორმაციო გამოშვება. 13.45 — ეკონომიკის კურსი. 14.15 — მხატვრული ფილმი „უცნობი ქალი“. 15.50 — კინოჟურნალი „მინდა ყველაფერი ვიცოდე“. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 16.55 — განცხადებები. 17.00 — დოკუმენტური ფილმი „რატომ მიდის სერგი დოვ ეენკო?“. 17.20 — მოსწავლეთათვის. „თქვენთვის, პატარებო!“ 17.55 — საბჭოური ცხოვრების წესი. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები „ბედნიერ ადამიანთა ოჯახი“ და „ჩრდილოეთის ქარის მიწა“. 17.55 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი. 18.15 — „მუსტაკინოფანტაზია“. 18.40 — განცხადებები. 18.45 — „ჩვენი სადისკუსიო კლუბი“ (განმეორებით). 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — მოამბე. 20.35 — „ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი“ (ქართველი ახალგაზრდების შრომითი წვლილი ჩრდილოეთ ყაზახეთში ეროის აღებაში). 21.20 — უკრავს საფორტეპიანო დუეტი. 21.55 — საქართველოს სანაოსნო ცისფერ გზებზე. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — რსფსრ სახალხო არტისტის ა. პუგაჩოვის კონცერტი ჩერნობილში (მ.). 23.35 — საინფორმაციო გამოშვება.

მეორე პროგრამა. 16.35 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მამაკაცებს ცრემლი არ შეშვენით“. 18.00 — განცხადებები. 18.05 — ჩვენს დიად სამშობლოში. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „კუბიშევი“.

პარასკევი, 5 დეკემბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.20 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ვენტა“. 10.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ანდრონიკოვის სიტყვა“. ფილმი მეორე. 11.30 — სიმღერის საერთაშორისო ფესტივალი „თბილისი-86“ (განმეორებით). 13.00 — ფიზიკის ტელეკურსი. 13.30 — საინფორმაციო გამოშვება. 13.45 — ტელეკურსილსთათვის. საშინაო დავალების ანალიზი მათემატიკაში. 14.15 — სატელევიზიო დადგმა „დამცინავი ბედი ჩემი“. 15.40 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „თიხით მოუბარი“. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — შევისწავლოთ ფრანგული ენა. 16.55 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ვიცით თუ არა ჩვენ დასვენება?“ 17.15 — საბჭოური ცხოვრების წესი. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები „მეხუთე სიმალლე“ და „ჩრდილოეთის ქარის მიწა“. 17.55 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი. 18.15 — „მუსტაკინოფანტაზია“. 18.40 — განცხადებები. 18.45 — „ჩვენი სადისკუსიო კლუბი“ (განმეორებით). 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — მოამბე. 20.35 — „ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი“ (ქართველი ახალგაზრდების შრომ